# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი
№77 (9908) 2025 წლის 4 ივნისი, ოთხშაბათი

## ცდა სიღარიბის განელებისა...



**ირაკლი კობახიძე:**

### ვიწყებთ პროცესს, რომლის საფუძველზეც განხორციელდება სახელმწიფო საწარმოების სრულფასოვანი რეფორმა...

„სახელმწიფო საწარმოების სრულფასოვანი რეფორმა არის მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი მოთხოვნა.

ძლივს ისეთ რაღაცას გვთხოვენ უცხოელები, რაც სახელმწიფოს ინტერესებს შეესატყვისება და ვფიქრობ, არ იქნება ჩვენი მხრიდან სწორი, არ შევასრულოთ შესაბამისი რეკომენდაციები, ამიტომ ვიწყებთ უკვე პროცესს, რომლის საფუძველზეც განხორციელდება სახელმწიფო საწარმოების სრულფასოვანი რეფორმა, რაც გულისხმობს მენეჯმენტის ცვლილებას, სისტემის გაჯანსაღებას, დახვეწას, გაუმჯობესებას. ოპტიმიზაცია არის ერთი მიმართულება, რაც მოგვცემს როგორც ეკონომიის, ისე ეფექტიანობის გაუმჯობესების საშუალებას, მაგრამ ამასთან ერთად მნიშვნელოვანი რეფორმებია გასატარებელი სახელმწიფო საწარმოებში, რათა ეფექტიანობის ხარისხი მაქსიმალურად გაუმჯობესდეს.

თუ ვეხებით ჩვენ რკინიგზას, ენერგეტიკას, ყველგან არის შესაძლებელი მეტი ხარჯთეფექტიანობის უზრუნველყოფა, მეტი წარმატების მიღწევა ჩვენი ქვეყნისთვის და ეს აუცილებლად გაკეთდება. ენერგეტიკის სფეროში, მაგალითად, ჩამოყალიბებული იყო გარკვეული პრაქტიკები, რომელიც პირდაპირ აბრკოლებდა ენერგეტიკის სექტორის განვითარებას. ეს პრაქტიკები თავიდან ბოლომდე მოისპობა და ეს გაკეთდება უახლოესი მაქსიმუმ ორი თვის განმავლობაში. იგივე არის გასაკეთებელი ყველა სხვა სფეროში.

მაქსიმუმი გაკეთდება იმისათვის, რომ გაჯანსაღდეს სახელმწიფო საწარმოების მართვის სისტემა ჩვენს ქვეყანაში, რაც დამატებით წაახალისებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამისთვის უახლოეს მომავალში მომზადდება საკანონმდებლო პაკეტიც, რომელიც წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტში და ვთხოვთ პარლამენტს, რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი, რათა საბოლოოდ განხორციელდეს სახელმწიფო საწარმოების რეფორმა“, – აღნიშნა პრემიერმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქსტატმა გამოაქვეყნა სიღარიბის 2024 წლის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ეს მაჩვენებელი 2,4 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

„11,8 პროცენტი იყო სიღარიბის მაჩვენებელი 2023 წელს და ეს მაჩვენებელი 2024 წელს შემცირდა 2,4 პროცენტული პუნქტით, ანუ პირველად, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენს ქვეყანაში დაფიქსირდა სიღარიბის ერთნიშნა მაჩვენებელი 9,4 პროცენტი. მინდა, შეგახსენოთ, რომ 2012 წელს, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ გადაიბარა ხელისუფლება, სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა მილიონ ასი ათასზე მეტი ადამიანი ჩვენს ქვეყანაში, ეს მაჩვენებელი უკვე ჩამოსცდა 350 ათასს.

წინსვლა აშკარაა, თუმცა ჩვენი საბოლოო ამოცანა არის სიღარიბის განულება ჩვენს ქვეყანაში, მივდივართ სწრაფი ტემპით ამ მიმართულებით და აქაც გვაქვს კონკრეტული საპროგრამო ამოცანა, რომ 4 პროცენტს ჩამოსცდეს ეს მაჩვენებელი 2028 წლისთვის. ესეც არის აბსოლუტურად რეალური, შესაბამისად, ამ ტემპით, საშუალოვადიან პერსპექტივაში ჩვენ შეგვიძლია, რეალურად აღმოვფხვრათ მთლიანად სიღარიბე ჩვენს ქვეყანაში. ეს არის ერთ-ერთ უმთავრესი ეროვნული ამოცანა ჩვენი ქვეყნისთვის“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## „ყინული უკვე დაიძრა!“ 4

### ურთიერთობის გადატვირთვა, რომელიც ემყარება ურთიერთპატივისცემას...

**სამხრეთ კავკასია ამერიკის ობიექტივში და საქართველოსთან პოლიტიკის გადატვირთვის მკრთალი კონტურები**

## თბილისის მშრალი პორტი – ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის სიძლიერე 2

**ირაკლი კობახიძე:**

თბილისის მშრალი პორტი საკვანძო როლს შეასრულებს კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სავაჭრო ნაკადების ზრდაში, კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციას

**აჰმედ ბინ ალი ალ საიეღი:**

საქართველო არის მრავალი საინვესტიციო შესაძლებლობის ქვეყანა, ნიჭიერების საბადო, რაც უფრო წარმატებული თანამშრომლობის საშუალებას გვაძლევს

### ეს ჩვენი ისტორიაა




## მეგრელთა საქმე

## რუსეთი ბერლინსაც დარტყმით ემუქრება!




## სილა მაკრონს და სილა ოჯახურ ტრადიციებს?!




## ვაჟა ფიფია – გულისხმიერი ადამიანის უნაკლოდ განვლილი გზა!



იხ. 7 გვ.

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



# თბილისის მშრალი პორტი – ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის სიძლიერე



**ოფიციალურად იხსნება და სრულფასოვან ფუნქციონირებას იწყებს თბილისის მშრალი პორტი, რეგიონში პირველი თანამედროვე სარკინიგზო საკონტეინერო და სატვირთო ტერმინალი. ეს არის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტი, რომელიც საკვანძო როლს შეასრულებს კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სავაჭრო ნაკადების გაძლიერებაში.**

**თბილისის მშრალი პორტი 28.5 ჰექტარ ტერიტორიაზე სამ ფაზად შენდება; უკვე ამოქმედდა პირველი ფაზა, რაშიც ჩაიდო 21 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია და ამ პირველი ფაზის დასრულების შემდეგ შესაძლებელია წელიწადში 100 000 კონტეინერის დამუშავება. დარჩენილი ფაზების დასრულების შემდეგ მისი სიმძლავრე 200 000 კონტეინერამდე გაიზრდება. ეს არის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტი, რომელიც შეემატა ჩვენს ქვეყანას და ეს ობიექტი ჩვენს საზღვაო პორტებთან ერთად, როგორიც არის ფოთის, ბათუმის და შემდეგ უკვე ანაკლიის პორტები, საკვანძო როლს შეასრულებს კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სავაჭრო ნაკადების გაძლიერებაში.**



**„ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კონტეინერების დამუშავებისა და გადაადგილების ოპერაციებს, განსაკუთრებით კი ჩინეთიდან და შორეული აღმოსავლეთიდან „შუა დერეფნის“ მეშვეობით გადაზიდული ტვირთებისთვის.**

**მშრალი პორტის სტრატეგიული მდებარეობა – პირდაპირი წვდომა საერთაშორისო ავტომაგისტრალებთან, კავშირი ეროვნულ სარკინიგზო ქსელთან, სიახლოვე სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებთან და თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან, მას რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ლოგისტიკურ ცენტრად აქცევს. მინდა, მადლობა გადავუხადო ინვესტორებს – „აბუდაბი პორტების ჯგუფს“, ჩვენს პარტნიორებს არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, ასევე ნორვეგიულ „ვილჰელმსენ პორტ სერვისს“, ადგილობრივ კომპანია „ინვეკოს“, ყველა ინჟინერსა თუ მშენებელს, ვინც წვლილი შეიტანა ამ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში“,** – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ თბილისის მშრალი პორტის გახსნის ცერემონიალზე.

* * *

სამადლობელი სიტყვით გამოვიდა არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო მინისტრი **აჰმედ ბინ ალი ალ საიეღი.**

**„ჩემთვის დიდი პატივია, რომ დღეს თბილისში კვლავ ვიმყოფები იმ იდეის ოფიციალურ გახსნაზე, რომელიც იქცა თბილისის მშრალი ინტერმოდალური პორტის სახით. ეს დინამიკა, მასშტაბი, ლოჯისტიკური ობიექტი არა მარტო გააძლიერებს ვაჭრობას საქართველოსთან და მთელ ცენტრალურ აზიასთან, არამედ გაამყარებს კომერციულ გამტარიანობას აღმოსავლეთ-დასავლეთით და გაზრდის ვაჭრობას. ჩვენ ვატარებთ საწარმოო-სამომხმარებლო ტვირთებს აზიიდან, მათ შორის ჩინეთიდან, ცენტრალური აზიიდან ევროპის მიმართულებით და პირიქით. ჩვენ ვაღრმავებთ ჩვენს ურთიერთობებს საქართველოსთან – სტრატეგიულ, გლობალურ პარტნიორობას. ეს არის ჩვენი ხედვებისა და ფასეულობების გაზიარება, ჩვენი სულისკვეთება, რომ ურთიერთსასარგებლო ვაჭრობა ვაწარმოოთ და ეს იქცეს მშვიდობის, წინსვლისა და სტაბილურობის გარანტი.**

**ჩვენი თანამშრომლობის საფუძველზე, რომელიც განსაკუთრებულ ტარიფებზე იქნება დაფუძნებული, საქონლის 95 პროცენტი გატარდება ამ პორტის საშუალებით, გაძლიერდება საქართველოს სავაჭრო პარტნიორობა მთელ მსოფლიოსთან, ჩვენს ერებს შორის“,** – აღნიშნა არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო მინისტრმა.

მისივე თქმით, აბუ დაბის საპორტო ჯგუფის ინიციატივა და ინვესტიცია ამ კონკრეტულ ინტერმოდალურ პორტში მნიშვნელოვანია, რადგან ეს ეფუძნება თანამშრომლობას და მზარდ ურთიერთობას საქართველოსთან.

**„არაბთა გაერთიანებული საამიროები მოუთმენლად ელოდება უფრო მეტ ინვესტიციას, მეტი კაპიტალის დაბანდებას საქართველოში. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა საქართველოს მთავრობასთან ახალი შესაძლებლობები ვიპოვოთ ინვესტიციების განსახორციელებლად. საქართველო, გარდა იმისა, რომ არის მრავალი საინვესტიციო შესაძლებლობების მქონე ქვეყანა, ასევე ძალიან დიდი ნიჭიერების საბადოა, რაც ჩვენ გვაძლევს საშუალებას, კიდევ უფრო მოვინდომოთ და ეს თანამშრომლობა წარმატებული გავხადოთ.**

**საქართველოს კულტურა არის ის, რასთანაც ჩვენ ძალიან ხშირად გვექნება შეხება მომდევნო წლებში. დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო საქართველოს მთავრობას დახმარებისთვის, მადლობას ვუხდი ასევე ინვესტორებისთვის“,** – აღნიშნა **აჰმედ ბინ ალი ალ საიეღმა.**

# „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“...

## (პოლიტიკური იუმორესკა)



**ჩემს თვალწინაა გერმანელი მხატვრის ოტო დიქსის (1891-1969) ტრიპტიქი სახელწოდებით „ომი“.**

**განსაკუთრებით დავყურებ მის ცენტრალურ ნაწილს. ფერებში მხატვარი წარმოუდგენელი ოსტატობით გადმოსცემს ომის შედეგს: ერთმანეთში შეზელილ გვამებს, გვამის ამოშვერილ კიდურებს, დამახინჯებულ თავის ქალებს, დამტვრეულ სამხედრო ტექნიკას, მასზე გადამხობილ ისევ გვამებს, გარდაცვლილების მიმოზნეულ თავის ქალებსა და ძვლებს, ლპობაში გადასულ ისევ გვამებს, გასრესილ და გაჭყლეტილ სხეულის ნაწილებს... ასე რომ, ამის შემყურეს ეჭვი აღარ ეპარება – აქ სიკვდილის ზეიმია და აპოთეოზი.**

**მხატვარი მოგვიწოდებს: ისურვებთ ომს თქვენი სამშობლოსთვის?! როგორც არ უნდა ვლანძღოთ პაციფიზმი და მხატვრის მიერ ომის მატერიალისტური შეფასება, სურათი მაინც ტოვებს ჩვენში ზიზღს ომისადმი და მის სრულ მიუღებლობას.**

**მაგრამ არის ჩვენში ადამიანების გარკვეული ფენა, რომელსაც სწორედ მატერიალისტური თვალსაზრისიდან გამომდინარე სურს კაცთა ამოწყვეტა და მოსახლეობის მოსპობა. ვინ არიან ისინი?**

**იმართება ოპოზიციის თავკაცთა შეკრება. მსჯელობენ: რატომ ვერ შეძლეს არსებული წეს-წყობილების დამხობა. ერთ-ერთი მათგანი აცხადებს: იმიტომ, რომ ჩვენ არ გვყავს ქარიზმატული ლიდერი. გაისმის კითხვა: სად ვეძებოთ გამოსავალი? სიტყვას იღებს მსუქანი ქალბატონი და მომხიბვლელი ღიმილით ამტკიცებს: უნდა შევეცადოთ, რომ ამოწყდეს მთელი მოსახლეობა! როგორ, ჩვენც? – გაისმის შეშფოთებული შეძახილები. რატომ „ჩვენც“, – პასუხობს მსუქანი ქალბატონი; თქვენ დაგავიწყდათ, რომ ჩვენ ევროპელები ვართ და ჩვენი სამშობლო ევროპაა, როგორც ეს განაცხადა ცხონებულმა ზურაბ ჟვანიამ, რისთვისაც იგი თვით მიხეილ სააკაშვილმა დიდუბის პანთეონში დაკრძალა. ასე რომ, ჩვენ აქედან გადავსახლდებით ჩვენს ნამდვილ სამშობლოში, ევროპაში, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა აქ უნდა ამოწყდეს, რათა დაემხოს არსებული წეს-წყობილება!**

**მსუქანი ქალბატონის სიტყვამ დიდი ტაშისცემა დაიმსახურა...**

**ვიქტორ რცხილაძე**

# ვინ გვიქნევს თითს დასავლეთიდან?!



**„ფარას“ კანონი ამოქმედდება და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ჩვენი ეროვნული ინტერესები იყოს დაცული.**

**ირაკლი კობახიძე.**



# სილა მაკრონს და სილა ოჯახურ ტრადიციებს?!

**ამ დღეებში ყველამ ვიხილეთ ახლო აღმოსავლეთის ტურნეში მყოფი ემანუელ მაკრონის და მისი მეუღლის ინციდენტი თვითმფრინავში, სადაც საფრანგეთის პრეზიდენტს ცოლმა სახეში „მოფერებით“ სთხლიშა!**

**ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ხოლო ემანუელ მაკრონმა განაცხადა: ცოლ-ქმარმა რაღაც გავიხუმრეთ, წავითამაშეთ, სულ ეს იყო და მეტი არაფერიო.**

საქართველოში შეიძლება ჯერ კიდევ გაუკვირდეთ მამაკაცებს, ცოლმა ხელი როგორ უნდა მომიქნიოს საჯაროდ, თუნდაც ავიალაინერის თანამშრომლების თვალწინ, თვითმფრინავშიო, მაგრამ იქვე გამოხტებიან ფემინისტები, ამ მიდგომას ქალის მიმართ „ჩამორჩენილ, გოიმურ“ დამოკიდებულებას მიაწერენ და ძველქართული ტრადიციის მიხედვით მამაკაცის, როგორც ოჯახის თავკაცის, წინამძღოლის როლის ამოძირკვას იმ აქციებზე დგომით შეეცდებიან, სადაც წმინდა წყლის ლიბერალებიც დგანან, ხელმოცარული მიშარასტებიც, იეღოველებიც, აფერისტებიც და ავანტიურისტებიც, და, რა თქმა უნდა, ფემინისტებიც: კოლექტიური ბაია პატარაიები, ვიღაც ვოლანდები, სუზელიანები და ათასი ჯურის ატროკებული მეძავები, ჩვენ რომ გვიქნევენ თითს და „ბნელებს“ რომ გვეძახიან.

სულ ვამბობ, ახალი ლიბერალები წამხდარი კომუნისტი-ბოლშევიკების რეინკარნირებული სულები არიან-მეთქი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფემინიზმის თეორიის მნიშვნელოვანი მიმდევრები და იდეოლოგები იყვნენ: ავგუსტ ბებელი, კლარა ცეტკინი, მერი უოლსტოუნკრაფტი და სხვები.

მათ შესახებ, ვიმედოვნებთ, ჩვენს მკითხველს აქვს გარკვეული წარმოდგენა. მაგალითად, ქალბატონი უოლსტოუნკრაფტი მე-20 საუკუნის დასასრულს ნაშრომში **„ქალის უფლებების დაცვა“** უპირისპირდებოდა დამკვიდრებულ მიდგომას, რომ ვაჟიშვილები, სოციალური სტაბილურობის გარანტიისთვის, სახელმწიფო მოღვაწეებად უნდა აღიზარდონ, ხოლო გოგონები კარგ დედებად და ცოლებად.

**„ადამიანის ზნეობა ვერ იქნება სქესით განპირობებული. დედის ან ცოლის თავისთავადი ზნეობა მამაკაცებმა მოიგონეს ქალების დასამორჩილებლად და მათი ასპარეზის შესაზღუდად“**, – წერდა იგი.

სხვაგან რა იყო, სხვა საკითხია, მაგრამ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში იყო თუ არა ქალის როლი უგულებელყოფილი, იყვნენ თუ არა მამაკაცების მიერ „დამორჩილებულნი“, როგორც ამას ქალბატონი უოლსტოუნკრაფტი წერს, თქვენ თავად განსაჯეთ.

მამაკაცური მიდგომა, დამახასიათებელი მამაკაცური ღირებულებების და თვისებების აქცენტირებით ქალებში, ანუ მასკულინიზმი, იმდენად დომინანტური გახდა მსოფლიოში, რომ ოჯახის ფუნქცია, როგორც მომავალი თაობების ერთგვარი „დამცავი“ საშუალება, როგორც მყარი სოციალური უჯრედი, თანდათან კვდება და მასთან ერთად დასასრულისკენ მიდის დასავლური ცივილიზაციაც... ირღვევა ისტორიული ბალანსი და ვღებულობთ დამღუპველ ლიბერალურ ოჯახს, თითქოსდა ვყალიბდებით მატრიარქალურ ცივილიზაციად, რომელიც კატასტროფას მოუტანს კაცობრიობას თავისი ორსული მამებით, დედაც და მამაც რომ კაცია, ან პირიქით...

მაგრამ დავუბრუნდეთ სილაგაწნულ ემანუელ მაკრონს, რომელიც იმის გარდა, რომ სრულიად შემთხვევით ჩვენს თვალწინ გახდა მეუღლისგან შეურაცხყოფის ობიექტი, თურმე ოჯახში მეუღლისგან ისედაც მრავალმხრივ ყოფილა „შევიწროებული“.

**გარკვეული ხნის წინ ამერიკელმა ჟურნალისტმა კენდის ოუენსმა განაცხადა, რომ 2007 წელს ემანუელ მაკრონზე დაქორწინებული, მეუღლეზე 24 წლით უფროსი ქალბატონი ბრიჯიტ მაკრონი, სინამდვილეში ყოფილა მამაკაცი და მას 30 წლის ასაკში შეუცვლია სქესი.**




**ოუენსის თქმით, ბრიჯიტის ნამდვილი სახელი 30 წლამდე ყოფილა ჟან მიშელ ტრონი და როცა სქესის შეცვლის ოპერაცია გაუკეთეს, უკვე ჰყოლია ხუთი შვილი თავისი მეუღლისგან.**

„მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ გავჩუმებულიყავი. მე მომივიდა წერილი. ეს იყო ბანალური გზავნილი მუქარებით სავსე. მაგრამ ყველაზე გასაოცარი და შოკისმომგვრელი იყო ის, რომ წერილი გამოგზავნილი იყო იურიდიული კომპანიისგან, რომელიც წარმოადგენს საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის იურიდიულ კომპანიას. ჩემი აზრით, ასეთი რამ არ მომხდარა მსოფლიო ისტორიაში.

მე ვფიქრობ, არასდროს გსმენიათ შემთხვევა, როცა ქვეყნის მოქმედ ლიდერს გაეგზავნოს მუქარის წერილი სხვა ქვეყნის მოქალაქისთვის. თუმცა რაც შემდეგ მოხდა, უფრო გასაოცარია. ისინი მთხოვდნენ, არ გამემჟღავნებინა წერილის შინაარსი.



წერილში ნათქვამი იყო, რომ საერთოდ არ არის ჩემი საქმე, ქალია ბრიჯიტ მაკრონი თუ კაცი.

გზავნილში ასეთი რამ ეწერა: „მადამ მაკრონი არაა ვალდებული, დაამტკიცოს, რომ ის არის ქალი, ეს არ არის თქვენი საქმე, ეს შეურაცხმყოფელია და არ არის იმის აფიშირება საჭირო, თუ რომელ სქესობრივ გენდერს ეკუთვნის საფრანგეთის პირველი ლედი.“

მე რომ ვყოფილიყავი პრეზიდენტი და ეთქვათ, რომ ჩემს მეუღლეს არ აქვს პენისი, მე ძალიან უბრალოდ დავამტკიცებდი ამას და არ დავიწყებდი ადვოკატებისთვის თანხების გადახდას, რომ გაეგზავნათ ასგვერდიანი მუქარის წერილები. მაკრონი კი ძალიან დიდ ძალისხმევას ეწევა, რომ დაამტკიცოს, თითქოს ეს ასე არ არის.

ჩვენ ვთავაზობთ მას, ნათელი გახადოს მთელი ისტორია და გაიმართლოს თავი პრესის წინაშე...

* * *

**თქვენ შეიძლება არ იცით 54 წლის იზაბელ ფერეროს შესახებ, რომელიც იკვლევდა ემანუელისა და ბრიჯიტის ურთიერთობის დეტალებს. მან ამ ისტორიაში იპოვა ისეთი რამ, რომლის გამოც, მოსალოდნელი იყო, პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო ფაქტზე, რომ ბრიჯიტს ურთიერთობა ჰქონდა არასრულწლოვანთან.**

თუმცა ამ ამბის გახმაურებიდან ორ კვირაში იზაბელ ფერერო მკვდარი იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, ის წყალსაცავში გადავარდა. სამართალდამცავების ცნობით, ფერერო ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, სანამ წყალსაცავში აღმოჩნდებოდა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მან დარეკა სათანადო ორგანოებში და ითხოვა, კვლევა დაწყებულიყო ამ მიმართულებით. თუმცა ეს არ ყოფილა პირველი მცდელობა მაკრონის მეუღლის სქესთან დაკავშირებული საკითხის გარკვევის საქმეში.

**2024 წლის სექტემბერში, სულ ახლახან, ბრიჯიტ მაკრონმა მოუგო ფრანგულ სასამართლოს. მიიღო კომპენსაცია მორალური ზიანისა და სინდისისა და ღირსების შეურაცხყოფისთვის 8 000 ევროს ოდენობით, რომელიც ორ ფრანგ ბლოგერს დაეკისრა. ისინი სოციალურ ქსელებში დიდი ხნის განმავლობაში ამტკიცებდნენ, რომ ბრიჯიტ მაკრონი მამაკაცი იყო“.** – ამბობს ჟურნალისტი **კენდის ოუენსი.**

ესეც თქვენი დასავლური ფემინიზმი და მასკულინიზმი, რომელიც ხანდახან კანონის ძალითაც იძიებს შურს სიმართლისთვის, საბოლოო ჯამში კი ვეღარ გაიგებ, ქალს უნდა სცე პატივი თუ ქალად გადაკეთებულ კაცს, სილის გაწვნა კაცს უნდა მოუთმინო თუ ქალბატონს...

კიდევ კარგი, დემაგოგები რუსულ საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაციის გასაჯაროებაში ვერ დამდებენ ბრალს და პირწავარდნილ „ქოცად“ ვერ მომნათლავენ, ვითომდა გამიზნული დეზინფორმაციის გამო. ამ თემაზე უკვე დიდი ხანია ლაპარაკობენ ამერიკელი და ფრანგი ჟურნალისტები. ის კი არა, ჩემმა მეგობარმა, რომელიც წლებია, რაც საფრანგეთში ცხოვრობს, თქვა: მაკრონების ოჯახში ბრიჯიტის ჰეგემონიის და მისი სქესის შეცვლის საკითხზე საფრანგეთში უკვე კარგა ხანია დაუფარავად მიდის საუბრებიო.

ამ ბოლო ხანებში მამაკაცის როლის დაკნინების ტენდენცია იმდენად გაბანალურდა, რომ შეიძლებოდა დიდი ყურადღება არც გაგვემახვილებინა ამაზე, მაგრამ ემანუელ მაკრონის ტრაგედია განსხვავებულია.

**ქალბატონი თუ ბატონი ბრიჯიტი, 40 წლის მასწავლებელი იყო პირველად რომ შეხვდა 14 წლის სკოლის მოსწავლეს – ემანუელ მაკრონს და მასთან სასიყვარულო ურთიერთობა გააბა. მაშინ ბრიჯიტი უკვე აღარ იყო ჟან მიშელ ტრონი. მას უკვე ჰქონდა გაკეთებული სქესის შეცვლის ოპერაცია.**

როგორც ცნობილია, ქალბატონი ბრიჯიტ მაკრონი დაახლოებულია ბერნარდ არნოს (მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი, 75 წლის ფრანგი ინვესტორი, ბიზნესმენი და Art კოლექციონერი. – **ავტ.**) და ვიტონების (პარფიუმერიის მაგნატი. – **ავტ.**) ოჯახებთან, რომლებიც, თავის მხრივ, მჭიდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებში არიან ბრიტანელ მორგანებთან და როკფელერებთან, ეს უკანასკნელნი კი იმ ყბადაღებული დიფსტეიტის მესვეურები გახლავთ, რომელზეც ბოლო ხანებში ჩვენ კი არა პრეზიდენტი ტრამპიც დაუფარავად ლაპარაკობს.

დიფსტეიტი, თავისი ბრიჯიტ მაკრონებით, ბერნარდ არნოებით, მორგანებით და სხვებით, სამწუხაროდ, მოქმედების მთვარ ღერძად ლგბტ პროპაგანდას, ტრანსგენდერიზმს და ფემინიზმს მიიჩნევენ და საბოლოო ჯამში, რატომღაც, უკმაყოფილებას გამოთქვამენ საქართველოს დღევანდელი მმართველობის მიმართ, თანაც პრინციპულად გვიკეტავენ გზებს ევროკავშირში ინტეგრაციისკენ.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საწყალი მაკრონის ბედი, რომელიც თურმე 14 წლიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლია და ნარკოტიკებში ცდილობს მძიმე კომპლექსების ჩაკვლას, არაა გადამწყვეტი, აქ საუბარია პოლიტიკურ, სოციალურ, საზოგადოებრივ და იდეოლოგიურ მიმართულებებზე, რომელსაც დიფსტეიტის მესვეურები ახვევენ თავს ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს და ხანდახან სჯიან კიდევაც გარკვეული „სანქციებით“.

**ასეთი ტიპის პერსონები ცდილობენ საუკუნეების განმავლობაში რეალური ცხოვრებისგან შემოთავაზებული და დამკვიდრებული სოციალური როლები შეცვალონ, ტრანსფორმაცია მოახდინონ, როგორც აზროვნების, ისე ცხოვრების წესის და სუბორდინაციის, რომელთა დარღვევა კოსმიური წესრგის დარღვევის ტოლფასია. სწორედ ესაა ლიბერალიზმის სახელით მოქმედი, უცხოეთიდან დაფინანსებული ენჯეო-სექტორების თავაშვებული მოქმედებების მჩქეფარე წყარო, იმ ენჯეოების, რომელთა პარპაში, ქვეყნის სუვერენიტეტის დამაგრკოლებელ, უცხო ძალებისგან მხარდაჭერილ სხვა ძალებთან ერთად, სავარაუდოდ, აღიკვეთება „ფარას“ სახელით ცნობილი კანონით, რომლის მოქმედება საქართველოში 31 მაისიდან შევიდა ძალაში.**

**ირანდა კალანდაძე**



**ამ კონკრეტულ შემთხვევაში საწყალი მაკრონის ბედი, რომელიც თურმე 14 წლიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლია და ნარკოტიკებში ცდილობს მძიმე კომპლექსების ჩაკვლას, არაა გადამწყვეტი, აქ საუბარია პოლიტიკურ, სოციალურ, საზოგადოებრივ და იდეოლოგიურ მიმართულებებზე, რომელსაც დიფსტეიტის მესვეურები ახვევენ თავს ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს და ხანდახან სჯიან კიდევაც გარკვეული „სანქციებით“.**

## სამხრეთ კავკასია ამერიკის ობიექტივში და საქართველოსთან პოლიტიკის გადატვირთვის მკრთალი კონტურები



# ურთიერთობის გადატვირთვა, რომელიც ემყარება ურთიერთპატივისცემას...

**ბოლო დროს ამერიკიდან საქართველოს მიმართ გაკეთებული განცხადებების და წამოსული ინტერესის ფონზე, მოსალოდნელია თუ არა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის რეალური გადატვირთვა და რესპუბლიკელი სენატორის ვიზიტი მიუთითებს თუ არა კავკასიის მიმართ ტრამპის შესაძლო საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის კონტურებზე?**

30 მაისს თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული რესპუბლიკელი სენატორის **სტივ დეინსის** შეხვედრას საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან, მმართველი გუნდის წარმომადგენლები „სტრატეგიული ურთიერთობის გადატვირთვის დასაწყისად“ აფასებენ. პრემიერ ირაკლი კობახიძის განცხადებით, ეს ვიზიტი განსხვავებული იყო წინა კონტაქტებისგან და ამერიკასთან ურთიერთობის „ჯანსაღად გადატვირთვის“ ახალ ეტაპზე მიუთითებს. მსგავსი გზავნილი გააჟღერა ასევე პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმაც, რომელმაც სენატორის ვიზიტს პოზიტიური ნაბიჯი უწოდა.

ამ გზავნილების ფონზე, განსაკუთრებით აქტუალურია კითხვა: ხომ არ მიანიშნებს ვაშინგტონის ახალი ტონი რეგიონში მოქმედი რესპუბლიკელი პოლიტიკოსების მეშვეობით დონალდ ტრამპის შესაძლო საგარეო პოლიტიკური კონტურების ფორმირებაზე, რომელშიც კავკასიის მიმართ დამოკიდებულება შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დემოკრატების ხაზისგან?

ირაკლი კობახიძემ 30 მაისს გამართული შეხვედრის შემდეგ აღნიშნა: **„სენატორ სტივ დეინსთან შედგა ძალიან კონსტრუქციული, მეგობრული და პარტნიორული შეხვედრა. საუბარი იყო ჯანსაღი გადატვირთვის შესახებ საქართველოსა და აშშ-ს ურთიერთობაში. ეს არის გადატვირთვა, რომელიც ემყარება ურთიერთპატივისცემას, კონსტრუქციულ დიალოგსა და სტრატეგიულ მიზნებს“.**

კობახიძემ კიდევ უფრო პირდაპირ დააფიქსირა პოზიცია იმის შესახებ, რომ ეს ვიზიტი წარსულში ჩამოსული ამერიკელი მაღალჩინოსნებისგან რადიკალურად განსხვავებული იყო.

პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა კი აღნიშნა: **„სენატორ დეინსთან დიალოგი მეტყველებს იმაზე, რომ აშშ-ის ადმინისტრაციაში იზრდება ინტერესი იმგვარი თანამშრომლობის მიმართ, რომელიც პატივს სცემს საქართველოს სუვერენულ პოზიციებსა და მის დამოუკიდებელ საგარეო კურსს“.**

მისივე თქმით, ეს არის პოზიტიური სიგნალი აშშ-დან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიული განვითარების გზა უნდა დარჩეს ეროვნული თანხმობის საკითხად და არა გარე ზეწოლის ქვეშ ჩამოყალიბებულად.

სენატორ სტივ დეინსი რესპუბლიკელია, კონსერვატორი და ტრამპთან დაახლოებული პოლიტიკოსი, რაც მეტად ზრდის ანალიზის სივრცეს. მისი გამოჩენა თბილისში შესაძლოა, მივიჩნიოთ როგორც სიგნალი, რომ აშშ-ის რესპუბლიკური ფრთა საქართველოში არ აპირებს დემოკრატების მსგავსად მკაცრ და ღირებულებით პირობებზე დაფუძნებულ მიდგომას.

ტრამპის შესაძლო საგარეო პოლიტიკა კავკასიის მიმართ შეიძლება უფრო ნაკლებად იყოს პრიორიტეტზე ორიენტირებული იმ თვალსაზრისით, რასაც წარმოადგენდა დემოკრატიული ღირებულებების დაცვის მოთხოვნა. ამის ნაცვლად, რესპუბლიკური ადმინისტრაცია შესაძლოა, ფოკუსირდეს გეოსტრატეგიულ, ანტირუსულ და ანტიჩინურ ალტერნატივებზე, რომელშიც საქართველოს ადგილს უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს ეკონომიკური ან ენერგოუსაფრთხოების ჭრილში, ვიდრე დემოკრატიული უკუსვლის კუთხით.

ანალიტიკოსების ნაწილის აზრით, აშშ-სთან ურთიერთობის რეალური გადატვირთვა ჯერ მხოლოდ დიპლომატიური მანევრების დონეზეა. პოლიტიკის ცვლილების ტესტი, მათი შეფასებით, იქნება კონკრეტული ეკონომიკური ნაბიჯები, მაგალითად, პირდაპირი ინვესტიციების გაზრდა, სავაჭრო შეღავათების აღდგენა ან ენერგეტიკულ პროექტებში ჩართულობა.

სწორედ ასეთ ნაბიჯებს ელოდებიან ის ანალიტიკოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ აშშ-ის სტრატეგიული მიზნების ფარგლებში, საქართველო კვლავაც რჩება დასავლური ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილად. ასეთ შემთხვევაში, ვაშინგტონისთვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქართველოში სტაბილური პარტნიორის შენარჩუნება, ვიდრე კონკრეტული მთავრობის ცვლილებაზე ზეწოლა.

ანალიტიკოსი **თამარ კიკნაძე** ფიქრობს, რომ სენატორ სტივ დეინსის ვიზიტი ამ ეტაპზე მმართველი გუნდისთვის გარკვეულ კომუნიკაციურ წარმატებას წარმოადგენს. მისი თქმით, ეს არის მცდელობა, შიდა პოლიტიკური ოპონენტებისა და დასავლეთის კრიტიკის ფონზე გადადგას ნაბიჯი საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ. თუმცა, როგორც კიკნაძემ for.ge-სთან საუბარში აღნიშნა, ურთიერთობების სრულფასოვანი გადატვირთვა ჯერ კიდევ დროისა და ქმედით ნაბიჯებზეა დამოკიდებული – როგორც ამერიკის, ისე საქართველოს მხრიდან.



**„თუ მართლაც არსებობს რესპუბლიკური ფრთის და ტრამპის ადმინისტრაციის გეგმა, გააძლიერონ გავლენა რეგიონში, ეს უახლოეს თვეებში კონკრეტული მხარდაჭერის მექანიზმებით უნდა გამოჩნდეს. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის მიმართ ტრამპის პოლიტიკის კონტურები საბოლოოდ მას და პუტინს შორის დაგეგმილი შეხვედრის შემდეგ უფრო მკაფიო გახდება“**, – აცხადებს **კიკნაძე**.

მისი შეფასებით, უკრაინის ომის საკითხი ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია – სწორედ ამ კონტექსტზეა მიბმული როგორც საქართველოს, ისე მთლიანად რეგიონის უსაფრთხოება.

**„თუკი რუსეთსა და ამერიკას შორის გარკვეული შეთანხმებები შედგა, ამ შემთხვევაშიც ჩვენზე ზეწოლა დასავლეთიდან ნაწილობრივ მაინც შემცირდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზეწოლის ქვეშ ახლა თავად ტრამპიც იმყოფება – არც მის პარტიაში არსებობს ერთიანობა რიგ საკითხებზე, მათ შორის – სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით. სწორედ ამას მიუთითებს „მეგობარი აქტიც“**, – დასძენს ანალიტიკოსი.

კიკნაძის აზრით, სენატორ დეინსის ვიზიტი და მისი შეხვედრები პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ **„ვაშინგტონში მიიღებენ ბევრად რეალისტურ ინფორმაციას, ვიდრე ამას ადგილობრივი საელჩოს არხებით იღებდნენ“.**

მისივე თქმით, ტრამპის მიერ დეკლარირებული მიდგომები ბევრი ადამიანისთვის მისაღებია და გარკვეულწილად ემთხვევა საქართველოს ხელისუფლების ღირებულებებს.

**„ტრამპის პოლიტიკა ძალიან პრაგმატულია. ის სწორად აფასებს მდგომარეობას – არ უწესებს რუსეთს სანქციებს და ცდილობს, მსოფლიო ამ დაძაბულობის მარწუხებიდან გამოიყვანოს. რუსეთს 24 ათასზე მეტი სანქცია დაუწესდა, მაგრამ არც ერთი მათგანი რეალურად არ მუშაობს – ისევე როგორც საქართველოზე დაწესებული სანქციები. ამ პოლიტიკამ შედეგი ვერ გამოიღო – ურთიერთობები ფუჭდება და არსებითი ცვლილებები არ დგება. ამიტომ მაქვს იმედი, რომ ეს ტენდენცია შეიცვლება და საქართველოსთან დაკავშირებითაც ბევრ რამეს მოეფინება ნათელი“**, – ამბობს ანალიტიკოსი.

მისი აზრით, „ყინული უკვე დაიძრა“ – გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია და ახლა საჭიროა მოვლენების შემდგომი განვითარების მშვიდი და რაციონალური მოლოდინი.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# რუსეთი ბერლინსაც დარტყმით ემუქრება!

**უკრაინის დაზვერვამ ორგანიზებული შეტევა განახორციელა რუსეთის ფრონტისპირა ტერიტორიაზე. ბრიანსკისა და კურსკის ოლქებში ააფეთქეს საავტომობილო და სარკინიგზო ხიდი, არიან დაღუპულები და დაშავებულები.**

**ასევე, უკრაინის დაზვერვამ რუსეთის ტერიტორიაზე მურმანსკის და ირკუტსკის ოლქებში სატვირთო ავტომობილებით, კერძოდ ტრაილერებით გადაიტანეს დრონები, რომელიც მალევე აამოქმედეს და დაბომბეს სამხედრო-საჰაერო ბაზები, დაზიანდა 40-ზე მეტი თვითმფრინავი, მათ შორის სტრატეგიული ბომბდამშენები. გავრცელებული ინფორმაციით, დაზიანებულია – A-50, Tu-95 და Tu-22 M3 ტიპის თვითმფრინავები.**



**რუსეთი აღიარებს, რომ უკრაინამ სერიოზული ზარალი მიაყენა, განსაკუთრებით კი სტრატეგიული ბომბდამშენების განადგურებით. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო „ტელეგრამზე“ წერს, რომ უკრაინამ განახორციელა ტერორისტული თავდასხმა მურმანსკის, ირკუტსკის, ივანოვოს, რიაზანისა და ამურის რაიონებში, თუმცა აცხადებენ, რომ ყველა თავდასხმა მოიგერიეს და, დრონების გაშვების შედეგად, აეროდრომების უშუალო სიახლოვეს მდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე საავიაციო ტექნიკას ცეცხლი გაუჩნდა.**

თავის მხრივ უკრაინულ და დასავლურ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის (SBU) წყაროებზე დაყრდნობით, რომ ოპერაციის – **„ობობის ქსელი“** – ორგანიზებას წელიწადნახევარი დასჭირდა, რომელსაც თავდაცვის ძალების მეთაური ვასილი მალიუკი ხელმძღვანელობდა.

**სხვადასხვა წყაროების შეფასებით, რუსეთის თავდაცვის ძალების ზარალმა დაახლოებით 2 მილიარდ დოლარს მიაღწია.**

**თვითმხილველების ცნობით, დრონები სამხედრო ობიექტებზე გზატკეცილზე გაჩერებული სატვირთო ავტომობილებიდან აფრინდნენ. ამ ოპერაციამდე რამდენიმე საათით ადრე რუსეთმა უკრაინას რეკორდული რაოდენობის – 479 დრონით და რაკეტებით შეუტია.**

ფრონტის ხაზზე ვითარება დაიძაბა. ამას ემატება უკრაინის საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის სპეციალური წარმომადგენლის კიტ კელოგის განცხადება, რუსეთსა და უკრაინას შორის კონფლიქტი, გარკვეული გაგებით, მარიონეტული ომია. თავის მხრივ დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ ორი კვირის განმავლობაში გავიგებთ, ვლადიმერ პუტინი სამშვიდობო პროცესში ყალბად არის დაინტერესებული თუ არა, თუ ყალბადაა დაინტერესებული, ცოტა სხვაგვარი პასუხი გვექნება. ტრამპმა უარი თქვა იმ ქმედებების გამხელაზე, რომლებიც მან შეიძლება განიხილოს რუსეთის დასასჯელად და განაცხადა, რომ მოსკოვის მიმართ მისი ახალი „მკაცრი ენა“ თავისთავად საუბრობს. მან ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებმა შესაძლოა, ძირი გამოუთხაროს სამშვიდობო შეთანხმებას.

მოლაპარაკებების პარალელურად, გერმანიის კანცლერმა, **ფრიდრიხ მერცმა** უკრაინისთვის შორ მანძილზე მოქმედი Taurus-ის ტიპის რაკეტების გადაცემა არ გამორიცხა და აღნიშნა, რომ ამისთვის უკრაინელმა ჯარისკაცებმა რამდენიმეთვიანი გადამზადება უნდა გაიარონ. კანცლერმა აგრეთვე განაცხადა, რომ Taurus-ის გადაცემა ნახევარ წელიწადში ან ერთ წელიწადში დღეს უკრაინას სარგებელს არ მოუტანს. ამიტომაც უკრაინის სამხედრო მხარდაჭერა უკვე დღეს იხვეწება.

**„უკრაინისთვის მიწოდებული იარაღის მანძილზე არანაირი შეზღუდვა არ მოქმედებს – არც გაერთიანებული სამეფოს, არც საფრანგეთის და არც ჩვენ მიერ. აშშ-ის მხრიდანაც არანაირი შეზღუდვა არ არის. ეს ნიშნავს, რომ უკრაინას ახლა შეუძლია თავის დაცვა, მაგალითად, რუსეთის სამხედრო პოზიციებზე თავდასხმით. აქამდე ამის გაკეთება არ შეეძლო და ძალიან მცირე გამონაკლისების გარდა, არც გაუკეთებია“**, – აღნიშნა **ფრიდრიხ მერცმა**.

იხ. 8 გვ.



# ჰოდა, მამათა და შვილთა ბრძოლისათვის

**ჰოდა,** გამორჩეულ სტუდენტთა ნაწერები კი ძალიან გამომადგა იმ საჯარო ლექციაზე საგურამოში. ქართული პრესის კურსში ჩვენ რამდენიმე ლექცია დავუთმეთ სწორედ ამ თემას – „მამათა და შვილთა ბრძოლა". სტუდენტებმა თავად გაინაწილეს როლები – ზოგი ილია ჭავჭავაძე იყო, ზოგი გრიგოლ ორბელიანი, ზოგი – ნიკო ნიკოლაძე, ზოგი ვინ და ზოგი ვინ – „მამა" თუ „შვილი". მათმა უმეტესობამ კარგად დაინახა, რომ ეს თემა არ არის მხოლოდ ისტორია, რომ ამ თემაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც მაშინ ქართულ პრესაში იყო აქტუალური და რაც დღეს ტელევიზიაში და სოციალურ ქსელებშია იმგვარადვე აქტუალური. და რომ მაშინდელი გამოცდილების გათვალისწინება იქნებ უფრო სასარგებლოც იყოს ქვეყნის მომავლისათვის, ვიდრე ჩვენი – „მამებისა" თუ „შვილების" – ემოციური და სპონტანური გადაწყვეტილებები. ჩემი სტუდენტები ასაკით ძალზე ახლოს არიან ჩემს იმდღევანდელ მსმენელებთან და ჩემთვისაც უაღრესად საინტერესო იყო, როგორი ინტერესით ისმენდნენ მოსწავლეები ფრაგმენტებს სტუდენტთა ნაწერებიდან:

**ჰოდა,** აი, ამონაწერი ერთ-ერთი მესამეკურსელის დავალებიდან: „მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ, თუ როგორი იყო მამებსა და შვილებს შორის კონფლიქტი, არა მხოლოდ პირადი, არამედ საზოგადო თვალსაზრისითაც. გიორგი წერეთელი, (რომლის როლიც მე მხვდა წილად „ლიტერატურული დებატების" დროს) სხვა ქართველი ინტელექტუალების მსგავსად, ცდილობდა ბალანსის პოვნას მშობლიური კულტურისადმი ღრმა ერთგულებასა და ევროპული მოდერნიზაციის სურვილს შორის. წერეთელს შეეძლო თავისი ქმედებები ამ ბრძოლის პრიზმიდან დაენახა. ერთი მხრივ, მას საქართველოს ტრადიციების შენარჩუნების მორალური ვალდებულება ჰქონდა, მეორე მხრივ კი, ესმოდა, რომ რეფორმები და განვითარება მხოლოდ ევროპული იდეების მიღებით იყო შესაძლებელი. დღეს საქართველო კვლავ ამ კონფლიქტის წინაშე დგას. ეს არის ბრძოლა ევროპული იდენტობისა და მოდერნიზაციისთვის. თანამედროვე კონტექსტში, შესაძლოა, არა მხოლოდ ახალგაზრდობა, არამედ უფროსი თაობაც აცნობიერებს ევროპის მნიშვნელობას, თუმცა ამ მიზნის მიღწევის გზებს ისინი სხვადასხვაგვარად ხედავენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე დროში მამებსა და შვილებს შორის კონფლიქტი და ბრძოლა ახალ ფორმებს იღებს, სადაც ყველა საკუთარ გზას ეძებს. ეს აღარ არის მხოლოდ ტრადიციებსა და ახალ შეხედულებებს შორის დავა, არამედ თაობებს შორის დიალოგია, რომელშიც, განსხვავებების მიუხედავად, თითოეული მხარე უკეთესი მომავლისკენ ისწრაფვის. თუმცა, ბევრი ახალგაზრდისთვის ეს დიალოგი არასდროს იწყება. ის, რასაც ჩვენ ვხედავთ, არ არის იდეოლოგიური დავა, არამედ გაქცევის მცდელობა – პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ჩვენ ვხედავთ უიმედობით დაღლილ სტუდენტებს, რომლებიც, დღევანდელ აქტუალურ პრობლემებზე კამათის გაგრძელების ნაცვლად, უცხოურ პროგრამაში მონაწილეობას და წასვლას ამჯობინებენ. და მე მათ არ ვადანაშაულებ – მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ. მაგრამ რა მოხდება, თუ ევროპას საბოლოო მიზნად არ შევხედავთ და მას ისეთად აღვიქვამთ, როგორადაც ნიკოლაძისთვის ოდესღაც იყო – მაგალითად, როგორც ქართული საზოგადოების ტრანსფორმაციის საშუალება. ევროპა შეიძლება დაგვეხმაროს იმის დანახვაში, თუ ვინ ვართ, რა გვაკლია და როგორ შეგვიძლია გავხდეთ უკეთესები. მაგრამ ამ ცოდნით არა ციურიხში უნდა დავრჩეთ ან პარიზში, არამედ ფოთში უნდა დავბრუნდეთ. და შესაძლოა, მაშინ შევძლოთ არა მხოლოდ წასვლა და დარჩენა, არამედ წასვლა, სწავლა, დაბრუნება და შეცვლა. ზუსტად ასე შეგვცვალეს ნიკოლაძემ, წერეთელმა და სხვა „თერგდალეულებმა". ახლა კი დროა, მათ „სამაგიერო გადავუხადოთ" და ჩვენც შევძლოთ სამშობლოს უკეთესობისკენ შეცვლა". **(გვანცა მელაძე).**

**დასასრული. დასაწყისი იხილეთ „სრ" №76**

**ჰოდა,** აი, რას ამბობს სხვა მესამეკურსელი: ...„ჩვენ რომ არ გამოვუტანოთ საკუთარ თავებს განაჩენი, ნიკო ნიკოლაძეს მოვუსმინოთ: „რომელ მხარესაც უნდა მოვაქციოთ ყურადღება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ყოველგან დავინახავთ, რომ ჩვენ სრულიად არაფერს არ ვაკეთებთ, ჩვენი საზოგადოების და ქვეყნის წარმატებისათვის. არც სკოლების საქმეში, არც მწერლობაში, არც ეკონომიურ ცხოვრებაში, არც ხალხის ზნეობით გაწვრთნაში. ჩვენი ცხოვრება ხავსმოკიდებული და შეჩერებულია და მარტო სხვის შემწეობის ცდაში და ლოდინში ვლევთ ჩვენ ჩვენს უმოქმედო და უმიზნო დღეებს"... თანამედროვე კაცობრიობის საჭიროებები ძველი თაობის საჭიროებებზე შენდება. ეს ისტორია ჩვენი ცხოვრების ნაწილია, ისევე როგორც „მამათა" თაობა. ესეც რომ არა, სწორედ ევროპული წესი და ღირებულება გვიკარნახებს, რომ ყოველი თაობა განძად თვლიდეს წინაპრებისგან გადმოცემულ სიმართლესა და საუნჯეს და ზედ, თვითონაც ბევრს ამატებდეს, ართავდეს და აშენებდეს"... **(მარიამ ბასილაძე).**

**ჰოდა,** აი, ფრაგმენტი კიდევ ერთი სტუდენტის ნაწერიდან: „პიროვნებაზე წინ საერთო, ეროვნული მიზანი უნდა დააყენოთო, – გვეუბნება ნიკოლაძე. ჩვენ კი გვეძინება და კიდევ 5 წუთით ვწევთ მაღვიძარას. „ჩვენში, ვიტყვი მე, ვითომ განათლებული კაცები, ვითომ ახალგაზრდა პირები სულ სხვანაირ გზას და მოქმედებას ადგიან. იმათ ან არასოდეს არ ჰქონიათ საზოგადოებრივი გრძნობა და საზოგადო სიკეთისთვის მსახურების სურვილი, ან, თუ ჰქონიათ, დიდი ხანია რაც დაუკარგავთ." ვითომ განათლებულებითაა სავსე ეს ქვეყანა, ოღონდ ახლა უცოდინარობაა მოდაში. საზოგადო სიკეთისთვის ბრძოლას მანამდე არ დავიწყებთ, სანამ მარწუხები საძილე არტერიას არ დააწვება მთელი ძალით. სამწუხარო ის არის, რომ ამდენი წლის მანძილზე ვერაფერი გვისწავლია ისტორიიდან – ნიკოლაძე და სხვები რომ ამგვარ დარიგებას გვაძლევდნენ, ჩვენ მაღვიძარას კიდევ 5 წუთით ვწევდით. გვეძინებოდა, გვეზარებოდა და რა გვექნა"... **(კესო მანჩხაშვილი).**



**ჰოდა,** აი, კიდევ ერთი სტუდენტური ფრაგმენტი: „ათწლეულები გავიდა, მაგრამ მაშინდელი თითოეული პუბლიკაციის წაკითხვისას დღევანდელი რეალობა იხატება. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ დღესაც ადამიანები იმავე შეცდომებს უშვებენ, რასაც მეცხრამეტე საუკუნეში? ისტორიული მაგალითების მიუხედავად და მათ გაუთვალისწინებლად მაინც ვერ აღორძინდა ერთი მუჭა საქართველო. თუ ნიკო ნიკოლაძე ფოთის თავკაცი იყო და ზრუნავდა მის განვითარებაზე, რატომ ისევე არ ზრუნავენ ახლა ჩვენი მერები? თუ ორბელიანი დიდი პატივით გააცილეს უკანასკნელ გზაზე მოწინააღმდეგეებმა, ახლა, რატომ არ შეგვიძლია იგივე? ერთადერთი ცვლილება მხოლოდ გარემო და დროა, ქართველი კი დარჩა ისევ ქართველად... საინტერესოა, სად გადის ზღვარი „მამათა და შვილთა ბრძოლის" ველზე, რადგან ფაქტია, რომ ის დადგენილი ჭეშმარიტებასავით ერგება ყველა დროს. ისიც საინტერესოა, სად მთავრდება ადამიანის პატრიოტიზმი და სწავლობს თუ არა იგი ისტორიისგან რაიმეს. ბოლო კითხვაზე პასუხი ალბათ ოცდამეერთე საუკუნის ადამიანებმა იციან. ნეტავ თერგდალეულებმა თუ იცოდნენ. ალბათ იცოდნენ, ალბათ ამიტომაც ინანა ნიკო ნიკოლაძემ სიცოცხლის ბოლოს: „საწყენია, რომ ამდენი ძალა შევალიე საქმეს, რომელიც, როგორც ჩანს, არავის სჭირდება და, უკეთეს შემთხვევაში, ნაადრევია". **(ირინა ნასყიდაშვილი).**

**ჰოდა,** კიდევ ორი რამ, რაც იმდღევანდელი ლექციიდან გამომყვა: ერთმა მშობელმა, რომელიც თავის ორ შვილს ახლდა, მკითხა – ჩემი შვილი რუსული ენით არის დაინტერესებული და ზოგიერთი მისი მეგობარი მას ამის გამო აბულინგებს და თქვენ რას გვირჩევთო. რა უნდა მერჩია?! რაც ბევრჯერ მითქვამს, იქაც გავიმეორე: მეზობლის ენის ცოდნა ერთ- ერთი მძლავრი იარაღია მასთან ურთიერთობის მოგვარებისთვის, რაგინდ ეს მეზობელი ოკუპანტი იყოს. ინგლისი რომ იყო საუკუნეების განმავლობაში, და ნაწილობრივ არის კიდეც, ოკუპანტი ისეთი უნდა, არადა თითქმის მთელი მსოფლიო ინგლისურად ლაპარაკობს. გარდა ამისა, საქართველოს ისტორიის XIX საუკუნე დიდწილად რუსულად არის დაწერილი – აქტებიდან მოყოლებული, ცალკეული მეცნიერებით დამთავრებული და მიკვირს, როგორ შეიძლება ადამიანი საქართველოს ისტორიის შესწავლა სურდეს და რუსული არ იცოდეს. იმ ყველაფერს არავინ არც ქართულად და არც ინგლისურად არ გვითარგმნის და დავრჩებით საკუთარი ისტორიის ვეება პლასტის გარეშე. ან კიდევ: ადრე იქნება თუ გვიან, იმედი გვაქვს, რომ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და რა ენაზე უნდა ველაპარაკოთ აფხაზებს, სანამ ისინი ქართულს ისწავლიან და ქართველები – აფხაზურს?! ხოლო ის, ვინც მოსწავლეს, რომელსაც რუსული ენის შესწავლა სურს, აბულინგებს, ეტყობა, თვითონ ეზარება კიდევ ერთი ენის შესწავლა და ოკუპანტის ენას არ ვისწავლიო, დაუჩემებია. ენის შესწავლა ძნელია, მაგრამ რამდენი ენაც იცი, იმდენად უფრო წარმატებული იქნები ნებისმიერ სფეროში, – აი, ეს ვურჩიე იმ მშობელს მისი შვილების თანდასწრებით. ჩემმა ქალიშვილმა ინგლისურიც კარგად იცის, იაპონურიც და რუსულიც. შვილიშვილები ჯერ პატარები არიან, მაგრამ მათაც, რამდენ ენასაც არ უნდა დაეუფლონ, აუცილებლად ეცოდინებათ რუსული.

**ჰოდა,** კიდევ ერთი: დიდი ხანია მაწვალებს ეს კითხვა და წერილობით ჯერ არ მითქვამს და რაკი ეს პოსტი ილია ჭავჭავაძის მუზეუმში მიღებული შთაბეჭდილებების ქვეშ იწერება, ბარემ ამასაც ვიტყვი. ამ ბოლო დროს არის ლაპარაკი იმაზე, რომ ზოგიერთი მუზეუმი თუ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება ერთმანეთს შეუერთდეს მათი უკეთესი მართვის მიზნით, როგორც ადრე საქართველოს მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი და სამხატვრო გალერეა გაერთიანდა. არ არის გამორიცხული, რომ ამგვარმა გაერთიანებებმა მართლა კარგი შედეგი მოიტანოს. და სწორედ ამ ფონზე იქნებ მიზანშეწონილი იყოს ილია ჭავჭავაძის ოთხი მუზეუმის ერთ ქოლგაში მოქცევა? თბილისში ილიას ორი სახლ-მუზეუმია, მესამე ყვარელშია, მეოთხე თუ სულაც პირველი – საგურამოში. ხოლო ილია ერთია. გრიგოლ ორბელიანისგან განსხვავებით...

**ჰოდა,** სულ ბოლოს კიდევ ერთი ფრაგმენტი ჩემი სტუდენტის ნაწერიდან: „ის ამბავი ხომ გსმენიათ, ისტორია რომ ხშირად მეორდება. ჩვენ, როგორც ერს, ალბათ, მოკლე მეხსიერება გვაქვს, თორემ ,,მამათა და შვილთა ბრძოლა" ხომ ვისწავლეთ სკოლაში. ეს „ვისწავლეთ", სამწუხაროდ, ხმამაღალი განაცხადია. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: ილია ჭავჭავაძის სამი წერილი წავიკითხეთ და გრიგოლ ორბელიანის ხუთი ლექსი ვისწავლეთ – კარგად, კითხვით. იმის გასააზრებლად, რომ „მამათა და შვილთა ბრძოლა" საერთოდ არ იყო არც ბრძოლა, არც ომი და არც მაინცდამაინც მამები სცემდნენ შვილებს, ცოტა მეტი რამ უნდა ვიცოდეთ... თუკი მაშინ დაპირისპირება პრესის ფურცლებზე მიმდინარეობდა და ძირითადად იდეოლოგიათა შეპირისპირების ხარჯზე არგუმენტირებულ მსჯელობას წარმოადგენდა, ახლა ტელეეკრანზე, ან მის მიღმა, მუშტების ქნევად, საკუთარ სიმართლეში უარგუმენტოდ დარწმუნებული ხმების ყვირილად იქცა. ის, რაც დავკარგეთ საერთო მიზანია. მაშინ მამებსაც და შვილებსაც საქართველოს მდგომარეობის უკეთესობისკენ შეცვლა სურდათ. ახლა კი ზოგს რბილი სავარძელი სურს, ზოგს მეტი თავისუფლება, ზოგს ნაკლები, ზოგს ევროპა, ზოგს სტალინის წამოყენება, ზოგს კი უბრალოდ „სოფლელები და ჩამოსულები" აღიზიანებს თბილისის ცენტრალურ ქუჩებში და ამის მოსაგვარებლად ილანძღება. ერთი სიტყვით, ახლა ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვის აუცილებლობა, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვის დაუოკებელმა სურვილმა შეცვალა. არადა, ჯერ კიდევ როდის ამბობდა ნიკო ნიკოლაძე, – ჩვენი პირადი მიზნების განზე გაწევა უნდა შეგვეძლოსო, მაგრამ ვინ უსმენს. წერა-კითხვა არ ვიცით და ამიტომაც, რაც ენაზე მოგვადგება, გაუჩერებლად ჩავძახებთ ხოლმე გაცრეცილი ღრუბლით დაფარულ მიკროფონს. იმას არც ჭკუა აქვს, არც გონება და არც მაგიური ფილტრი, რომ რამე შეასხვაფეროს, ამიტომ ზუსტად იმავეს ამოგვძახებს. ჩვენ კი სწორედ გადაძახილების ხარჯზე გვინდა ქვეყნის საქმის აწყობა". **(კესო მანჩხაშვილი).**

**ჰოდა,** ეს ვრცელი და ამდენად არასაფეისბუქო ტექსტი 18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს დავწერე. მაგრამ მხოლოდ დღეს ვაქვეყნებ. იმ შაბათის შემდეგ სწორედ დღეს მქონდა მორიგი ლექცია ქართულ პრესაში და მინდოდა, სტუდენტებისათვის შემეთანხმებინა, რა და როგორ ამოვიღე მათი ნაწერებიდან ამ პოსტისათვის. ერთ ფოტოსაც მოვძებნი და ამ საღამოს დავდებ ჩემს კედელზე. იმ იმედით, რომ „მამებიც" წაიკითხავენ და „შვილებიც".

**პაატა ნაცვლიშვილი**



# მეგრელთა საქმე

**ალეკო ასლანიშვილი**

**„მეგრელთა საქმის“ ერთ-ერთ ბრალდებულს, ჩხოროწყუს რაიკომის ყოფილ პირველ მდივანს მამანტი პაჭკორიას, თავის 1977 წელს დასტამბულ ბროშურაში „ლავრენტი ბერია და „მეგრელთა საქმე“, ანასტას მიქოიანის მოგონება მოჰყავს.**

როცა კრემლში „მეგრელთა ანტიპარტიული ჯგუფის“ საკითხი იხილებოდა, მან თურმე ეჭვი გამოთქვა, თურქეთთან ამ ჯგუფის კავშირს საქართველოში არ დაიჯერებენ, სჯობს საფრანგეთში მყოფ მენშევიკურ მთავრობასთან ურთიერთობას გავუსვათო ხაზი. თურქეთი უფრო ახლოა საქართველოსთან, ვიდრე საფრანგეთი, რასაც ჩავწერთ, იმას დაიჯერებენო, მიუღია პასუხად.

მაგრამ არც მთლად ასე იოლად იყო საქმე. ძალიანაც მოინდომეს როგორც ადგილობრივმა, ისე მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოსულმა ჩეკისტებმა, მაგრამ „მეგრელ ნაციონალისტებს“ უცხოეთთან ჯაშუშური კავშირი და საბჭოთა კავშირიდან საქართველოს ჩამოცილების მცდელობა ვერა და ვერ აღიარებინეს.

არადა, დაწოლა ძალიან დიდი იყო.

მწერალ კირილ სტოლიაროვს მოჰყავს მოსკოვსა და თბილისს შორის გამართული ტელეფონოგრამის ჩანაწერი, რომელიც, ჩემი ვარაუდით, 1952 წლის 19 თებერვალს უნდა შემდგარიყო:

**„ი. სტალინი: დაკავებულია თუ არა გეგელია?**

**ნ. რუხაძე: არა, ამხანაგო სტალინ, არ აგვიყვანია.**

**ი. სტალინი: რატომ?**

**ნ. რუხაძე: ვიმუშავეთ მასზე, მაგრამ ჯერ რეალურს ვერაფერს მივაღწიეთ.**

**ი. სტალინი: დააპატიმრეთ!**

**ნ. რუხაძის ჩანიშვნა: „ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ იმ დღესვე შესრულდა“.**

**ი. სტალინი: ვინ დააპატიმრეთ დამატებით?**

**ნ. რუხაძე: ახალი არავინ მიმატებია, მე ვერ ვწყვეტ ამ საკითხს, ამხანაგო სტალინ.**

**ი. სტალინი: ჩარკვიანს თუ უგზავნით ჩვენებებს და თუ კითხულობს მას?**

**ნ. რუხაძე: ვუგზავნი, ამხანაგო სტალინ, კითხულობს, მაგრამ ბრძანებებს არ იძლევა.**

**ი. სტალინი: დააპატიმრეთ კარანაძე, იგი ბარამიას ახლობელია.**

**ნ. რუხაძის ჩანიშვნა: „მითითება შესრულებულია“.**

**ი. სტალინი: დაპატიმრებულია თუ არა შარია?**

**ნ. რუხაძის ჩანიშვნა: „ღამით ბელადმა ჩარკვიანს შარიას დაპატიმრების მითითება მისცა, დილით ავიყვანეთ“.**

**ნ. რუხაძე: დაპატიმრებულია, ამხანაგო სტალინ!**

**ი. სტალინი: საქმეს საფუძვლიანად მიუდექით. გაარკვიეთ, ვინ მიავლინა იგი პარიზში, რა დავალებით, ვისთან ჰქონდა ურთიერთობა და ვის ჯაშუშობდა. ბარამია ჯაშუშია, საჭიროა მისი მხილება. მას უეჭველად ჰქონდა კავშირი გეგეჭკორთან, საჭიროა არხის დადგენა.**

**ნ. რუხაძე: ყოველ ღონეს ვიხმარ, ამხანაგო სტალინ!“**

ცდა მართლაც არ დაუკლიათ ნ. რუხაძეს და უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, მაგრამ, ფაქტობრივად, მაინც არაფერი გამოვიდა.

***ინფორმაცია განსჯისათვის.***

გიორგი გეგელია 1925 წლიდან იმყოფებოდა პარიზში ემიგრაციაში. იგი ბერიას ერთ-ერთი სანდო აგენტი იყო საფრანგეთში, ჯერ კიდევ 1927 წლიდან ჩანერგეს იქ ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ წრეებში. მეორე მსოფლიო ომის წლებში ხელმძღვანელობდა პარიზში შექმნილ ე. წ. „ანტივლასოვურ კომიტეტს“. 1944 წელს, საფრანგეთის კომპარტიის არალეგალურ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, დაავალეს პროპაგანდისტული საქმიანობა საფრანგეთში დისლოცირებულ ე.წ. აღმოსავლეთის ჯარებში – გერმანელების მიერ გადაბირებულ სსრ კავშირის მოქალაქეებით დაკომპლექტებულ სამხედრო შენაერთებში, მათი „გახრწნის“ მიზნით. რაც შეეხება თვით „ანტივლასოვურ კომიტეტს“, როგორც ჩანს, ის ჯერ კიდევ 1943 წლის ბოლოს პროსაბჭოურად განწყობილი რუსი ემიგრანტების მიერ შექმნილი „რუსი პატრიოტების კავშირის“ ფილიალს წარმოადგენდა. 1944 წლის შემოდგომისათვის, გერმანიის ჯარების მიერ პარიზის დატოვების შემდეგ, ამ კავშირს ოფიციალურად სათავეში ჩაუდგა სსრკ კონსული ალექსანდრ გუზოვსკი, რომელიც სინამდვილეში პარიზში სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის რეზიდენტი იყო. ა. გუზოვსკი საფრანგეთში ჩასვლისთანავე მჭიდროდ დაუკავშირდა გიორგი გეგელიას, რომლის რეალური ამოცანაც სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ვერმახტის ყოფილი ქართველი ლეგიონერების მოძებნა, ტანსაცმლით მომარაგება და შემდეგ საბჭოთა სამხედრო ტყვეების ბანაკებში გადაყვანა იყო.

ფრანგი ისტორიკოსი **ფრანსუაზა ტომი** თავის „მეგრელთა საქმეში“ წერს, იმ ქართველ ლეგიონერებს, რომლებიც ადგილობრივი პარტიზანების წინააღმდეგ იბრძოდნენ საფრანგეთის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში და ტყვედ ჩაუვარდნენ მათ ან ბრძოლების ბოლო დღეებში გადავიდნენ პარტიზანებისს მხარეს, გეგელიას ძალისხმევით მიეცათ ფიქტიური დოკუმენტები წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობის შესახებო. 1951 წელს, „მეგრელთა საქმის“ დაწყებისა და გეგელიას და „ანტივლასოვური კომიტეტის“ საქმიანობაში მონაწილე ბერიას სხვა ხალხის დაპატიმრების შემდეგ, იმ ყოფილ ლეგიონერთა უმრავლესობა დააპატიმრეს და საქართველოდან გაასახლეს.

გიორგი გეგელია შინსახკომის დავალებით 20 წელი იმყოფებოდა ემიგრაციაში. 1947 წელს სამშობლოში დაბრუნდა. დაპატიმრებიდან ცოტა ხანში ჩასვეს მისი ცოლიც, ეროვნებით ფრანგი ლიუსეტ სან-რემი, რადგან მან ქმრის დაჭერის შემდეგ სამშობლოში დაბრუნების სურვილი გამოთქვა.

„გ. გეგელია ვაჟკაცურად უძლებდა გამომძიებელთა ცდებს, ეთქმევინებინათ, თუ უშუალოდ ვინ იყო „ანტივლასოვური კომიტეტის“ შემქმნელი და ვინ ხელმძღვანელობდა ქართველი ლეგიონერების “ანტიფაშისტებად“ გადანათვლას. იგი უცვლელად ერთ პასუხს იძლეოდა, ჩემი ინიციატივით ვმოქმედებდიო. კარგად იცოდა, ის პასუხი, რასაც მისგან ითხოვდნენ, გილიოტინაზე აიყვანდა: თუ „პროლეტარულ სასამართლოს“ გადაურჩებოდა, ჩამშვებს ლავრენტი მოუღებდა ბოლოს. გიორგი გეგელია 1953 წ. 14 დეკემბერს გაანთავისუფლეს, რადგან არცერთი ბრალდება არ დაუმტკიცდა.

* * *

**ცრუ ჩვენებათა მისაღებად და წინასწარ შედგენილი „დაკითხვის“ ოქმების ხელმოსაწერად დაპატიმრებულთა მიმართ იყენებდნენ იძულების სხვადასხვა საშუალებას, ფიზიკური ზემოქმედების მეთოდებს: კვირეებით ამყოფებდნენ ცივ ან ცხელ კარცერში, სცემდნენ ჯოხებით, ხელბორკილს ადებდნენ ზურგსუკან გადაგრეხილ ხელებზე, დიდი ხნით უსპობდნენ ძილის საშუალებას, აშიმშილებდნენ, არ უწევდნენ ელემენტარულ სამედიცინო დახმარებას და ა. შ.**

ოღონდ, ისიც სათქმელია, რომ მთავარ „დამნაშავეებს“ ტრადიციული ჩეკისტური მეთოდებით არ აწამებდნენ. აქედან უნდა ვივარაუდოთ, რომ სტალინი რუხაძისგან მოითხოვდა რეალური ფაქტების გახსნას და არა ცრუ და აბსურდული „აღიარებების“ ამოქაჩვას წამების გზით.

გამომძიებლები სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილებას უფრიალებდნენ და პატიმრებს არწმუნებდნენ, „მეგრული ნაციონალისტური ორგანიზაციის“ არსებობის ფაქტი პარტიას უკვე უდავოდ დადასტურებული აქვს, ეს დამტკიცებას აღარ საჭიროებს, თქვენგან ვითხოვთ ჩვენებებს მხოლოდ პრაქტიკულ მტრულ მუშაობაზე და თანამზრახველთა დასახელებას, რაც სასამართლოზე მდგომარეობას შეგიმსუბუქებთო.

ზოგმა ვერ გაუძლო და ხელი მოაწერა ოქმს თვით გამომძიებელთა მიერ ნაკარნახევი „აღიარებით“.

მართლაც მაგარი უნდა ყოფილიყავი, რომ გაგეძლო.

ვისაც როგორ შეეძლო, ისე ცდილობდა თავის შველას.

პეტრე შარიამ, მაგალითად, 1952 წლის 27 თებერვალს, დაკითხვისას მოულოდნელად განაცხადა, განსაკუთრებული მნიშვნელობის რამ მაქვს სათქმელი და მხოლოდ ნ. რუხაძის თანდასწრებით ვიტყვიო. ნ. რუხაძე უმალ მივიდა ცეპკოვთან ერთად. ამის შემდეგ მან ახალი პირობა წამოაყენა – ჩარკვიანის დასწრებაც მოითხოვა. როცა ისიც მივიდა, ასეთი რამ განაცხადა:

**„იმ დღეების განმავლობში, რაც პატიმრობაში გავატარე, გავიხსენე რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი და გარემოება, გავაანალიზე ისინი და მივედი დასკვნებამდე, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უშიშროებისათვის. მე რომ ახლა ცალკეულ ფაქტებზე დავიწყო ლაპარაკი, ალბათ არაფრისმეტყველი არ იქნებოდა და შთაბეჭდილება შეგექმნებოდათ, რომ მე ჰალუცინაციები მაწუხებს. მაგრამ საღ გონებაზე ვარ და ამ შესავალს იმიტომ ვაკეთებ, რომ ჩემი მეორე განცხადება უცნაურად არ მოგეჩვენოთ. ამიტომ შევაწუხე კ. ნ. ჩარკვიანი. მე ვაცხადებ, რომ იმ ძალზე მნიშვნელოვან ფაქტებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უშიშროებას ეხება, მინდა ვაცნობო მხოლოდ სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინიტრს ს. დ. იგნატიევს და კპ(ბ) ცკ-ის პასუხისმგებელ წარმომადგენელს, ვისაც ი. ბ. სტალინი და გ. მ. მალენკოვი ჩემს მოსმენას დაავალებენ. გთხოვთ, დამიჯეროთ, რომ გამოვდივარ სამშობლოს ინტერესებიდან, ჩემი პირადი ბედი ამჟამად არ მაინტერესებს და მესმის, რომ თუ ჩემი განცხადება დაუსაბუთებელი აღმოჩნდება, მდგომარეობა დამიმძიმდება. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ჩემი ჩვენება ამ განცხადების თაობაზე, შესაძლოა მხოლოდ მოსკოვში მივცე“.**

უმალ გეცემათ თვალში, რომ პეტრე ეშმაკობს, მას თბილისიდან გაღწევა უნდა, მოსკოვში ბერია ეგულება, რომლისგანაც შველას მოელის. ეს რომ მართლაც ასეა და სათქმელი არაფერი აქვს, იმითაც დასტურდება, რომ არც მოსკოვში ჩაუყვანიათ და არც თითქმის მთელი თვე არ დაუკითხავთ (ამის შემდეგ დაჰკითხეს მხოლოდ 18 მარტს). ნამდვილად არ ღირს მარჩიელობა, ხომ არ ჩაიყვანეს იგი მოსკოვში ამ ორი დაკითხვის შუა პერიოდში და ხომ არ გააკეთა იქ თავისი „უმნიშვნელოვანესი განცხადება“, სავარაუდოდ ბერიას წინააღმდეგ, ხომ არ უბრძანა თავისი ხალხის მეშვეობით ლავრენტიმ მას ენაზე კბილის დაჭერა და ა. შ.

არ ღირს იმიტომ, რომ მოსკოვი არ დაინტერესებულა შარიას ამ „სენსაციური“ განცხადებით. ნ. რუხაძეს რომ დაემალა (ან რატომ დამალავდა?), ცეპკოვი არ დაიდებდა პირზე ბოქლომს და თავის უფროსს ს. იგნატიევს უმალ აცნობებდა, ამ კაცს რაღაც უსაშველო აქვს სათქმელიო. „საქმეში“ ამ განცხადებით რაიმე დაინტერესების – მოსკოვთან მიწერ-მოწერის არავითარი კვალი არ ჩანს. ალბათ, აქვე, თბილისშივე გაირკვა, რომ პეტრეს ბევრი არაფერი ჰქონდა სათქმელი, მით უფრო – ლავრენტიზე. ბერიამ ის იცოდა, ცაში და მიწისქვეშეთში რა იყო და პეტრეს გამცემლობა გამოეპარებოდა? ჰოდა, მასზე გული რომ არ შეცვლია, ამას ისიც ადასტურებს, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ სსრკ



პეტრე შარია ოჯახთან: მეუღლე ლიდა კვარაცხელია, შვილები – დაზმირი და ციალა. მოსკოვი. 1938 წ.



ქართველი ლეგიონერები საფრანგეთში ეროვნული დროშით მეორე მსოფლიო ომში

**გაგრძელება,**
**დასაწყისი იხილეთ „სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-68, 71-72, 74-76**

სამაგალითო მეგობარი



გენერალი ვლასოვი ესაუბრება რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებს

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეედ დანიშნულმა ლავრენტიმ პეტრე შარია ციხიდან განთავისუფლების უმალ თანაშემწედ აიყვანა.

საერთოდ, პეტრე შარია ცოტა უცნაური კაცი იყო. ზემოთ გაკვრით ვახსენე, რომ 1948 წელს იგი მისტიკური ლექსის დაწერისთვის შერისხეს.

შეიძლება დიდი გადახვევა გამომივიდეს, მაგრამ თავს უფლებას მივცემ მკითხველს მოვუთხრო ეს ამბავი, რომელიც ბევრი რამით არის საინტერესო და საყურადღებო.

1948 წლის 28 მაისს კანდიდ ჩარკვიანმა მოსკოვში შემდეგი შინაარსის წერილი გაგზავნა:

**„ამხანაგ ი. ბ. სტალინს**
**ამხანაგ ა.ა. ჟდანოვს**

**თქვენი დავალების თანახმად, შევამოწმე საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პროპაგანდის დარგში მდივნის ამხ. შარიას მიერ მისი ვაჟის გარდაცვალების გამო დაწერილი იდეოლოგიურად მავნე ლექსის გამოცემის გარემოებანი. ამხ. შარიას საქართველოს კპ(ბ) ცკ-ისა და პირადად ჩემთვის არაფერი უცნობებია ამ ფაქტზე. ამხ. შარიას სიტყვით, წიგნაკი მან 1943 წელს დაწერა მოსკოვში, უშუალოდ შვილის სიკვდილის შემდეგ. მაშინ ამხ. შარია სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში მუშაობდა. გამოცემითაც მოსკოვში გამოსცა 1944 წლის ბოლოს. იმ დროისათვის იგი უკვე საქართველოს კპ(ბ) ცკ-ში მუშაობდა და მოსკოვში მივლინებით იმყოფებოდა.**

**წიგნის 75-ეგზემპლარიანი ტირაჟიდან შემოწმების დღისათვის ამხ. შარიას 53 ცალი ჰქონდა დარჩენილი. 13 ცალი, მისი თქმით, დაურიგა ახლო მეგობრებს მწერალთა და მეცნიერთაგან. 10 ეგზემპლარი კი არ იცის, ვინ წაიღო.**

**ამ წიგნაკის დაწერის ფაქტს ამხ. შარია ხსნის საყვარელი შვილის სიკვდილით გამოწვეული მძიმე ფსიქოლოგიური და მორალური მდგომარეობით.**

**ამხ. შარია აღიარებს, რომ დაუშვა ბოლშევიკისთვის უპატიებელი, უხეში პოლიტიკური შეცდომა, რომელიც დიდი ხანია შეიგნო, მაგრამ გამბედაობა არ ეყო მის შესახებ პარტიისთვის განეცხადებინა.**

**როცა ამხ. შარიას წიგნაკს გავეცანი, გამაოცა მისმა შინაარსმა. ეს არის ნაწარმოები, რომელიც ერთიანად გამსჭვალულია რელიგიურ-მისტიკური მსოფლმხედველობით, თვით სულის უკვდავებისა და იმქვეყნიური ცხოვრების რეალობის აღიარებამდეც კი.**

**საქართველოში ამხ. შარიას ჩამოსვლი პირველ თვეებში ჩვენ, ხელმძღვანელი მუშაკები, ვგრძნობდით, რომ იგი მეტისმეტად ავადმყოფურად განიცდიდა შვილის სიკვდილს. გარეგნულად ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მოსკოვიდან გადმოიტანა ურნა მიცვალებულის ფერფლით, ძალზე ბევრ დროს უთმობდა მის საფლავზე ძეგლის დადგმას და ა. შ. მაგრამ ამხ. შარიას ამ ქცევას განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევდით, რადგან მის პირად საქმედ მივიჩნევდით...**

**შარიას მიერ დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომა, რომელიც მის იდეურ მერყეობაზე მიგვანიშნებს, ყოვლად გაუმართლებელი და მკაცრად დასაგმობია. ასეთი ანტიპარტიული ქმედებისთვის პარტიიდან გარიცხვის ღირსია, მაგრამ მხედველობაში ვიღებთ რა იმას, რომ შარიამ მთლიანად შეიგნო თავისი დანაშაული და პირობას დებს, ეს შემდგომი მუშაობით გამოისყიდოს, შესაძლებლად მიმაჩნია, გთხოვთ, ნება დაგვრთოთ, რომ მის მიმართ არ გამოვიყენოთ ეს უკიდურესი ზომა.**

**შარია იდეოლოგიური ფრონტის განათლებული და უნარიანი მუშაკი, კარგი ლიტერატორია, შეუძლია ცოცხლად და მიმზიდველად გადმოსცეს თავისი აზრები. ერთი სიტყვით, იგი პარტიისათვის სასარგებლო და საჭირო მუშაკია. ამიტომ ჩადენილი მძიმე დანაშაულის მიუხედავად, შეიძლება, რომ ამხ. შარია დავტოვოთ პარტიაში და ვაკმაროთ ცკ-ში სამუშაოდან მოხსნა და პარტიული სასჯელის დაკისრება.**

***განსახილველად წარმოგიდგენთ საქ. კპ(ბ) ცკ-ის დადგენილების პროექტს პ. ა. შარიას საკითხზე“.***

საქ. კპ(ბ) ცკ-ის დადგენილების პროექტში დაწვრილებით არის მოთხრობილი პეტრეს მიერ შვილის სიკვდილთან დაკავშირებით იდეოლოგიურად მტრული პოეტური ნაწარმოების დაწერის ამბავი, რომელიც გამსჭვალულია ღრმა პესიმიზმითა და რელიგიურ-მისტიკური განწყობით, რომ მასში ლაპარაკია „ჩვენი სინამდვილის მიღმა არსებულ იდუმალ უკეთეს სამყაროზე“. ავტორი ამ ქვეყანას უწოდებს უთავბოლოდ და უაზროდ მოწყობილს, დაწყევლილ ჯოჯოხეთს, სადაც შვილის სიკვდილის შემდეგ მისი ცხოვრება მხოლოდ წამებაა...

სკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 31 მაისს მიიღო დადგენილება „ამხ. შარიას შესახებ“. დაამტკიცეს კ. ჩარკვიანის მიერ წარდგენილი საქ. კპ(ბ) ცკ-ის დადგენილება: **1. იდეოლოგიურად მავნე გალექსილი წიგნაკის დაწერისა და გამოცემისათვის პ. შარია მოიხსნას საქ. კპ(ბ) ცკ-ის მდივნის თანამდებობიდან და გამოეცხადოს საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. 2. გაიგზავნოს ამხ.პ. შარია პედაგოგიურ სამუშაოზე თბილისის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში იმ პირობით, რომ საქ. კპ(ბ) ცკ მეთვალყურეობას გაუწევს მის მუშაობას.**

(გაგრძელება იქნება)

# გულისხმიერი ადამიანის უნაკლოდ განვლილი გზა!

**დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა სასიქადულო მამულიშვილს, ღირსეულ პიროვნებას, გულისხმიერ და სათნო ადამიანს, უმაღლესი კლასის პროფესიონალს, საქართველოს აგრარიკოსთა ძველი თაობის ღირსეულ წარმომადგენელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის დამსახურებულ მუშაკს, ბატონ ვაჟა ფიფიას, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა გაატარა პრინციპულობის და პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.**



**ვაჟა ფიფიას** სახელოვანი ცხოვრების ბიოგრაფია იწყება ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიიდან, სადაც ის დაიბადა 1940 წლის 5 ივნისს მრავალშვილიან ოჯახში. შრომა და მონდომება ყოველთვის სდევდა მისი ცხოვრების გზას. 1960 წელს წარჩინებით დაამთავრა სოხუმის (კელასურის) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და შემდგომ ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე და მიიღო სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია. იგი სტუდენტობიდანვე (დაუსწრებლად სწავლობდა) გამოირჩეოდა სწავლისა და შრომის სიყვარულით, რასაც კომკავშირისა და პარტიის რაიონულ კომიტეტებში დაწინაურება მოჰყვა. შემდგომ კი დიდი ასპარეზი გადაეშალა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რაიონის მეცხოველეობის მეურნეობის ხელმძღვანელი.

ბატონმა ვაჟამ თავისი მოღვაწეობის ყველა საფეხურზე პრაქტიკულად დაამტკიცა, თუ რას ნიშნავს, იყო კარგი მოქალაქე და უბადლო ხელმძღვანელი. მისი მასშტაბური აზროვნებაც ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალური ხელწერით, სიახლისკენ ლტოლვით, სახელმწიფოებრივი ხედვით და პრობლემებისადმი პრინციპული მიდგომით. სიმართლის დამცველი და მისი დაუფარავად მთქმელი, არ სჩვევია სიტყვის გატეხვა, ახასიათებს მაღალი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის შესრულებაში. არის გულისხმიერი და სანდო პიროვნება, რომელსაც სხვების წარმატება და სიხარული ისე უხარია, როგორც საკუთარის, მან თავისი საქმიანობით თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა, კომუნიკაბელურმა სპეციალისტმა, რამაც განაპირობა მისი დანიშვნა სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს მთავარ აგრონომად, უფროსის პირველ მოადგილედ, შემდგომ კი სამმართველოს უფროსად. მუშაობის პერიოდში ნებისმიერი პრობლემის განხილვისას ხელმძღვანელობდა პროფესიული, ზნეობრივი და ადამიანური ღირებულებებით, ამიტომაც მან მოკლე დროში რაიონში საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ამ სიყვარულის შედეგია მისი ხელმძღვანელობით სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების მაღალ დონეზე განვითარება. დღეს ეს დარგი მძიმე მდგომარეობაშია, რასაც იგი ძალიან განიცდის, მაგრამ იმედს არ კარგავს და ფიქრობს, რომ მალე განვითარდება სოფლის მეურნეობის ისეთი ტრადიციული დარგები, როგორებიცაა მეჩაიეობა და მემარცვლეობა.

ვაჟა ფიფიამ ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობს აგრონომთა რაიონულ ასოციაციას, მასთან გამუდმებით მოდიოდნენ, როცა სახელმწიფო სამსახურში იყო და მოდიან დღესაც საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა საკითხებით, იდეებით. მას ენდობიან, დახმარებასა და მფარველობას სთხოვენ. იგი ყოველთვის მზად არის რჩევა-დარიგებებისთვის.

ბატონ ვაჟას ჰყავს უამრავი მეგობარი, რომლებთანაც ურთიერთობა ყოველდღიური ცხოვრების მთავარი მოთხოვნაა. ამასთან, არ ივიწყებს გარდაცვლილ მეგობრებს, ყოველთვის ამხნევებს და ყურადღებას აქცევს მათ ოჯახებს. ჩვენი მხარისა და რაიონის საზოგადოებრივი საქმიანობის ეპიცენტრში მყოფი, იგი ყოველთვის გამოირჩევა თავისი უიშვიათესი ადამიანური თვისებებით და ხასიათით. მეგობრებთან, კოლეგებთან, ახლობლებთან ურთიერთობისას ყოველთვის აფრქვევს გასაოცარ სითბოს. მას აქვს თანამოაზრეთა წინ გაძღოლის ნიჭი და ეს ყველაფერი კეთდება დიდი მადლმოსილებით. ბატონი ვაჟას ცხოვრება არის მაგალითი, თუ როგორი სიფაქიზით, ერთგულებით, მადლიერებით უნდა იყოს გამსჭვალული ქართველი კაცი წინაპრების, მეგობრების, კოლეგების, ოჯახებისა და ნათესავების მიმართ და ეს დაფასება, გარშემომყოფთა პატივისცემა მასთან თავისით არ მისულა. ეს მისი წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. ამის დასტურია მისი მრავალმხრივი საქმიანობა და დიდი აღიარება. ბატონი ვაჟას მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ის განძია, რომელსაც მთელი სიცოცხლე გადასცემდა მომავალ თაობას, რასაც ამჟამადაც აკეთებს, რათა ახალგაზრდები შემოაბრუნოს ეროვნული ღირებულებებისკენ, რომელსაც სამშობლოსადმი, მისი ხალხისადმი, ტრადიციებისადმი სიყვარული და პატივისცემა ჰქვია.

არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრების ასპარეზზე მოკრძალებულად გამოდიან. წლების განმავლობაში იღვწიან ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. დრო გატყორცნილი ისარივით მიდის წინ და როცა დადგება ჟამი ნაამაგარის შეფასებისა, სწორედ ამ დროს გამოჩნდებიან იმ ადამიანებად, რომლებსაც თანამედროვენი ამაგდარს უწოდებენ მათ. ადამიანმა ნიჭითა და უნარით, შრომისმოყვარეობით და მოქმედებებით უნდა ასახელოს როგორც ოჯახი, ასევე სამშობლო. სწორედ ამის მაგალითია ბატონი ვაჟა ფიფიას ცხოვრება და მოღვაწეობა. მისი მოუსვენარი ბუნება სავსეა ახალგაზრდული ჟინითა და შემართებით. მოყვასის სიყვარული ანდამატივით იზიდავს სხვადასხვა თაობის ადამიანებს. ყველგან, სადაც კი უმუშავნია, ყოველთვის გამოირჩეოდა პროფესიონალიზმითა და საქმისადმი საოცარი ერთგულებით, რითაც თავისი კოლეგების პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა და იმსახურებს. იგი არასდროს რჩება მოვლენების პასიურ დამკვირვებლად,უზომოდ უყვარს თავისი ქვეყანა, ქალაქი, მშობლიური ხალხი, მეგობრები, ადათ-წესები, იცავს სიმართლეს, სხვაგვარად არ შეუძლია.

ბატონი ვაჟას დაუღალავი შრომისა და აღიარებული ავტორიტეტის დასტურია ის წოდებები და ჯილდოები, რომლებიც მას დამსახურებულად აქვს მიღებული. ბოლო ხანს მას ღირსების ორდენი მიენიჭა.

იგი საზოგადოება „ზუგდიდელის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრეზიდიუმის წევრი გახლავთ.

ამჟამად ბატონი ვაჟა მთლიანად საზოგადოებრივი საქმიანობით არის დაკავებული. ჩვენ მისი მეგობრები არაერთხელ მოვხიბლულვართ მისი არაორდინარული, შთამბეჭდავი პიროვნებით. დღესაც არაერთ სასიკეთო საქმეში ურევია მისი ხელი. მისასალმებელია, რომ იგი სავსე, უშრეტი ენერგიით მზად არის, შეძლებისდაგვარად ემსახუროს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას და ხალხის კეთილდღეობას.

ვაჟა ფიფია შესანიშნავი მეუღლე, ღირსეული მამა, მოსიყვარულე ბაბუა, საიმედო ახლობელი და მეგობარია.

არ შეგვიძლია, არ გამოვხატოთ ვაჟას მეგობრების აზრი ცნობილი პოეტის გენო კალანდიას ლექსის რამდენიმე სტროფით: „სიკეთით სავსე დადიხარ ქვეყნად, შენი კაცობით ამშვენებ ქალაქს, რაც გითესია გეყოფა ქვეყნად,შენგან არავინ არ ელის ღალატს. ხარ ალალი და თავისუფალი, სხვისი ტკივილი გულამდე დაგყავს, თავდადებისთვის გლოცავს ქალაქი, მეგობრობაში ბადალი არ გყავს.“

ბატონი ვაჟა ღრმად მორწმუნე, იშვიათი სულიერების ადამიანია, გამოირჩევა კაცთმოყვარე ოჯახით. მან თავის მეუღლე, უკეთილშობილეს ქალბატონ ლამარასთან ერთად, თანაცხოვრების ნახევარ საუკუნეზე მეტი განვლო, სამშობლოს აღუზარდა ღირსეული შვილები – დათო და ზაზა, ჰყავს სამაგალითო რძლები – ჯილდა და მედეა, შვილიშვილები – ბაბუას მოსახელე ვაჟა და ანი, შვილთაშვილი – ალექსანდრე.

ასე გასულა 85 წელი. ბატონი ვაჟა ისევ ის ქველი, ფიქრიანი, თვისტომთა მოჭირნახულე, უწინდებურად ხალისიანი, ენის, მამულისა და სარწმუნოების თაყვანისმცემელი კაცია! ჩვენ, მისი მეგობრები, გულითადად მივესალმებით 85 წლის ღვაწლმოსილ ქართველს, რომლის მრავალწლიანი, მრავალფეროვანი მოღვაწეობა პატივისცემისა და მოწიწების გრძნობით განაწყობს ყველას.

**სულითა და გულით ვულოცავთ ბატონ ვაჟა ფიფიას სახელოვან საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას!**

**საზოგადოება „ზუგდიდელის“ სახელით:**

**ნოდარ ქითანავა, ბონდო ჯიქია, გურამ ფიფია, ვაჟა თორდია, თამაზ ცანავა, მამუკა წოწერია, მურმან ნაჭყებია, იური გუგუჩია, იგორ ქობალია, მარინა ჯიქია, ნათია ჯგუშია, გული აგუმავა, გიორგი ყუფუნია, დემურ ჭანტურია, ლავრენტი კემულარია.**



# რუსეთი ბერლინსაც დარტყმით ემუქრება!

(მეოთხე გვერდიდან) **გერმანიის კანცლერის ამ განცხადებას მალევე უპასუხა რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი მედვედევმა, რომელმაც მესამე მსოფლიო ომის საფრთხეზე გაამახვილა ყურადღება. „მე მხოლოდ ერთი ნამდვილად ცუდი რამ ვიცი – მესამე მსოფლიო ომი. იმედი მაქვს, ტრამპს ეს ესმის!“,** – წერს **დიმიტრი მედვედევი.**

პოლიტოლოგი **სოსო მანჯავიძე** ამბობს, რომ მედვედევი ამ შემთხვევაში აჟღერებს კრემლის განწყობებს, რაც არ უნდა ძნელი გასაგები იყოს. მისი თქმით, ეს არის გეოპოლიტიკური ინერცია – მთელი რიგი პოლიტიკური ფაქტორების გამო, უკრაინა ამ შემთხვევაში არის გეოპოლიტიკური ბრძოლის მთავარი არეალი.

**„იმ შემთხვევაში, თუ ეს ბრძოლა უკრაინაში გაგრძელდება და წავა საზღვაო ცივილიზაციის გადაჩოჩება სახმელეთო ცივილიზაციის ცენტრისკენ, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ რუსეთს, ეს გამოიწვევს მის საშინელ გაღიზიანებას და მივა ატომურ დაპირისპირებამდე, რაც ვხედავთ, რომ რეალური გახდა. ამ შემთხვევაში ეს არის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. იქითა მხარეს თუ არის ექსპანსიის ნაწილი, აქეთა მხარეს ეგზისტენციალური საკითხია. ამიტომ ეს გააფრთება და ტონალობა სულ უფრო და უფრო გამწვავდება. ჩვენ ვხედავთ ესკალაციის უპრეცედენტო მატებას, მედვედევის განცხადება და საუბარი რომ უკვე დისკურსში შემოვიდა. ატომური იარაღის გამოყენებას მანამდე ტაბუ ედო, ახლა კი, მსოფლიოს ნომერ პირველი ატომური არსენალის მატარებელი სახელმწიფო ღიად ლაპარაკობს მისი გამოყენების შესაძლებლობაზე.**

**ასევე, საუბარია იმაზე, თუ თაურუს-ის ტიპის რაკეტები იქნება გამოყენებული, საპასუხოდ გამოყენებული იქნება სხვა სარაკეტო სისტემა „არეშნიკი“, „ბანდეროლი“ და საპასუხო დარტყმა იქნება მიყენებული ბერლინზე და ამაზეც ღიად საუბრობენ უკვე და საუბრობენ სწორედ ისინი, ვისაც ავალებენ. ანუ კრემლი ამ შემთხვევაში თავის განწყობას ახმოვანებს“,** – აცხადებს **მანჯავიძე.**

აქედან გამომდინარე პოლიტოლოგის შეფასებით, აბსოლუტურად რეალურია ატომური არსენალის გამოყენება, თუ დაინახავენ, რომ დამარცხებისკენ მიდის საქმე.

ანალიტიკოს **ედიშერ გვენეტაძის** შეფასებით, დღევანდელ ტურბულენტურ მსოფლიოში ყველაფერია მოსალოდნელი, რადგან ქვეყანას, რომლის სათავეში იდგა ნაპოლეონ ბონაპარტი და შარლ დე გოლი, ახლა მართავს ცვედანი მაკრონი, რომელსაც საკუთარი ცოლი თუ ქმარი თვითმფრინავის ტრაპზე სცემს.

**„ასეთ კატასტროფულ სიტუაციაშია მსოფლიო, თუმცა მე მინდა გითხრათ, რომ ძირითადად, ის ქვეყნები, რომელ ქვეყნებზეც დამოკიდებულია მსოფლიოს ბედი და ბირთვული ომის ბედი, ეს არის რუსეთი, ჩინეთი და აშშ. ისეთი სიტუაცია არის, რომ ამ ომებს წარმართავს ფულიანი ხალხი. ასე ყოფილა ადრე და ასე არის ახლაც და ასე იქნება მომავალში. ფულიანი კაცი რატომ წარმართავს? იმიტომ, რომ თავიანთ ფულებს მეტი ფული დაამატონ და ამავე დროს მეტი ნედლეული, მეტი გასაღების ბაზარი და ფული დააგროვონ.**

**რაც შეეხება კითხვას – ამ ადამიანებს რაში სჭირდებათ ეს ფული, თუ დაინგრა მსოფლიო, რადგან ბირთვული ომის შედეგად დედამიწაზე ცხოვრება არ იარსებებს? – ვისაც არ აქვს წაკითხული, აუცილებლად წაიკითხოს დანიელ დეფოს შესანიშნავი ნაწარმოები რობიზონ კრუზოს ცხოვრება, სადაც ნათქვამია, რომ გემი, რომელშიც იმყოფებოდა რობიზონ კრუზო, მიადგა იმ უკაცრიელ კუნძულს, იქ ძალიან ბევრი რაოდენობით აღმოჩნდა ქაღალდის ფული. დეფო წერს, რომ სად უნდა გამოეყენებინა ეს ფულიო და საპირფარეშოში ხმარობდაო. ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ რად უნდა ფული, თუ დედამიწაზე ადამიანი არ დარჩა. ამიტომ, არ მგონია, რომ ამ კატასტროფამდე მივიდეს ვითარება, რადგან თავად ამ სამხედრო სამრეწველო კომპლექსების ხელში არ არის ეს. მედვედევი პოლიტიკოსია და ახმოვანებს იმას, რასაც ფიქრობს რუსეთის პოლიტელიტა. რუსეთის პოლიტელიტა კი ახმოვანებინებს ე.წ. დაშინების პოლიტიკას. არც ერთი შემთხვევისათვის ამ ეტაპზე ბირთვული ომი არ მოხდება და ყველამ იცოდეს, რომ, რასაც დასაწყისი აქვს, იმას დასასრულიც აქვს“,** – აცხადებს **ედიშერ გვენეტაძე.**

**თამთა ქარჩავა**

# „შეურაცხყოფილი ელენა ზელენსკაია“

**„ამ დღეებში უკრაინაში ამერიკელი მწერალი ქალის სოფი კლარკის ნაწარმოებების ექვსტომეულის პირველი ტომი გამოიცა, მაგრამ როგორც კი სტამბიდან მაღაზიებში გასაყიდად შეიტანეს, მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოიღეს, დანარჩენი ტომების დაბეჭდვის კონტრაქტი კი გააუქმეს“, – ნათქვამია გერმანული გაზეთის „იუნგე ველტის“ (Junge Welt) მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით „შეურაცხყოფილი ელენა ზელენსკაია“ (ავტორი – მანფრედ მარუდა).**

**„ალბათ, იკითხავთ – რატომ? მიზეზი ძალიან მარტივია: სოფი კლარკის ერთ-ერთ თხზულებაში მოხსენიებულია ლიტერატურული გმირი ელენა ზელენსკაია, რომელსაც უკრაინიდან წასვლა სურს, დასავლეთში გათხოვების მიზნით, ფულიანი ქმრის საპოვნელად“, – აღნიშნულია მასალაში.**

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

**იცნობთ სოფი კლარკს? თუ არ იცნობთ, გაგაცნობთ: ამერიკელი მწერალი ქალბატონი, ცხოვრობს კალიფორნიაში, სახელი გაითქვა სასიყვარულო რომანების წერით „ჭკვიანი ქალების“ შესახებ, რომლებსაც სერიალებივით წერს და წიგნის ბაზარზე ყიდის. მაგრამ თუ უკრაინის წიგნის მაღაზიებში ვინმეს მისი რომანების შეძენა მოესურვება, ამის შესაძლებლობა უკვე აღარ ექნება. საქმე იმაშია, რომ ხარკოვის გამომცემლობაში სოფი კლარკის რომანების ექვსი ტომის სახით გამოცემის უფლება იყიდეს, გადათარგმნეს ექვსივე ტომი და პირველი უკვე დაბეჭდეს... და სწორედ ამ დროს „ზემოთ“ გადაწყვიტეს – წიგნი არ უნდა გაიყიდოსო და ტირაჟი გაყიდვიდან ამოიღეს. დანარჩენი ტომების გამოცემაზე კონტრაქტები გაუქმდა.**

## რა არის ამ ყველაფრის მიზეზი?

**გამომცემლობის განცხადებით, წიგნები გაყიდვიდან ამოღებულია იმის გამო, რომ მათში რუსეთი „შელამაზებული, რომანტი-**


DIE TAGESZEITUNG
junge Welt
Gegründet 1947 • Dienstag, 3. Juni 2025, Nr. 126
Menü Recherche Aktion RLK App jW-Prozess Shop
Aus: Ausgabe vom 02.06.2025, Seite 8 / Ansichten
PORTRÄT
Geschmähte des Tages: Olena Selen
Von Manfred Maruda

**ზებული“ სახით არის წარმოდგენილი და ბოდიში მოუხადა მკითხველებს სოფი კლარკის რომანების თარგმნისა და გამოცემისათვის. რით გამოიხატა რუსეთის რომანტიზება-შელამაზება, საკმაოდ გაურკვეველია: შესაძლოა, იმით, რომ „რუსული მაფია“ სხვა ქვეყნების მაფიებზე უფრო მეტად არ არის ურჩხულად წარმოჩენილი, ან იმით, რომ ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით, უკრაინა გერმანიას გრიგორი რასპუტინმა ჩააბარა ბრესტის ზავის შედეგად.**

რა თქმა უნდა, რასპუტინთან დაკავშირებით ყველაფერი ავტორის მიერ არის გამოგონილი, რადგან ყველას კარგად მოეხსენება, უზნეო მღვდელი 1917 წელს იქნა მოკლული, ხოლო „იმპერიალისტური“ ბრესტ-ლიტოვსკის ზავი გერმანიის იმპერიასა და საბჭოთა (ბოლშევიკურ) რუსეთს შორის 1918 წლის მარტში დაიდო.

ან იქნებ შესაძლოა, „ზემოთ“ გაღიზიანება „მის უბრწყინვალესობის“ „შეურაცხყოფამ“ გამოიწვია? სოფი კლარკის ერთ-ერთ რომანში არის ლიტერატურული გმირი ელენა ზელენსკაია, რომელსაც უკრაინიდან დასავლეთში წასვლა უნდა პირადი ოჯახური ბედნიერების საძებნელად. მისი აზრით, უკრაინელი მამაკაცები უხეშები არიან და, შესაბამისად, უკრაინელი ქალები ასეთ ცხოვრებას ქვეყნიდან გაქცევით თავს არიდებენ.

**საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ, რადგან უკრაინის პირველი ლედი ელენა ზელენსკაიაა, არანაირად არ შეიძლება ისეთი ვარაუდი, რომ მის ლიტერატურულ სეხნიას უკრაინიდან ემიგრაცია სურდეს. კაცმა რომ თქვას, ეს მართლაც გადაჭარბებაა – იმიტომ, რომ ელენა ზელენსკაია უცხოეთში საემიგრაციოდ კი არა, მხოლოდ თავისი ქმრის შავი ანგარიშებით სარგებლობისთვის დადის.**

მოამზადა

**სიმონ კილაძემ**

# ნიკოლ ფაშინიანი კათოლიკოსს აუმხედრდა!



## ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენი წმინდა ეკლესიის მორწმუნეებს, გაერთიანდნენ და არ დაუშვან ეროვნული საფუძვლების შერყევა

**თუ აღმოჩნდება, რომ გარეგინ II-მ მართლაც დაარღვია უქორწინობის აღთქმა და შვილი ჰყავს, ის ვერ იქნება ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი,** – ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა **ნიკოლ ფაშინიანმა** განაცხადა.

ფაშინიანის თქმით, წმინდა ეჩმიაძინმა ამ სიტუაციასთან დაკავშირებით პოზიცია უნდა დაიკავოს.

**„ამას ვაცხადებ ყველას პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისადმი სრული პატივისცემით, მაგრამ ყოველთა სომეხთა კათოლიკოსს არ შეუძლია, ასეთი პირადი ცხოვრება ჰქონდეს. ამ საკითხს ვსვამ როგორც სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი, რადგან სულიერი უსაფრთხოების საკითხს ვხედავ და ამაზე სომხეთის პრემიერ-მინისტრის რანგში ვსაუბრობ“,** – განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.

**სომხეთის ეკლესია კი ნიკოლ ფაშინიანს ანტიეკლესიური კამპანიის წამოწყებაში ადანაშაულებს.**

2 ივნისს წმინდა ეჩმიაძინის მთავარ საკათედრო ტაძარში სრულიად სომეხთა კათოლიკოსის გარეგინ II-ის თავმჯდომარეობით გაიმართა უმაღლესი სასულიერო საბჭოს სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სომხეთისა და დიასპორის ეპისკოპოსებმა და ეპარქიების ხელმძღვანელებმა. ამასთან დაკავშირებით, უმაღლესმა სასულიერო საბჭომ განცხადება გაავრცელა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

**„სომხეთის პრემიერ-მინისტრმა სომხური სამოციქულო წმინდა ეკლესიის წინააღმდეგ კიდევ ერთი კამპანია დაიწყო, სახელმწიფო მოღვაწისთვის შეუფერებელი ენით, შეურაცხყოფითა და ბრალდებებით და საკუთარი თავის კანონზე მაღლა დაყენებით. უცენზურო ენით სავსე პუბლიკაციები მოკლებულია ზრდილობის ელემენტარულ ნორმებს, არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და უხეშად შეურაცხყოფს მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობებს. ეს პოზიცია აშკარად პოლიტიკური მიზნებით არის ნაკარნახევი და წარმოადგენს სომხური ეკლესიისა და მისი სასულიერო პირების ავტორიტეტის დაკნინების მცდელობას, რომლებიც პატივისცემით სარგებლობენ ეროვნულ ცხოვრებაში და საერთაშორისო წრეებში, სურს ეკლესიის ხმის ჩახშობა და მისი სოციალური გავლენის შემცირება.**

**მთავრობის მეთაურის ანტიეკლესიური ქცევა, ეროვნული ღირებულებებისა და ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული პროცესები სავსეა დამანგრეველი შედეგებით და საფრთხეს უქმნის სომხურ სახელმწიფოებრიობას, ჩვენი ხალხის ერთიანობას როგორც სამშობლოში, ასევე დიასპორაში. ასეთი ქმედებები ყოფს საზოგადოებას, ასუსტებს ერის სულისკვეთებას და პატრიოტიზმის მაღალ შეგნებას, განსაკუთრებით მიმდინარე გამოწვევების კონტექსტში. ასეთი ინიციატივები ემსახურება გარეშე არმენოფობიური ძალების ამბიციებს და გარკვეულწილად დაკავშირებულია აზერბაიჯანული პროპაგანდისტული მანქანის მიერ სომეხი ხალხისა და სომხური ეკლესიის მიმართ წაყენებულ ცილისწამებასა და ცრუ ბრალდებებთან. სომხური ეკლესია ურყევად გააგრძელებს ერის შენარჩუნების მისიას, წინააღმდეგობას გაუწევს დესტრუქციულ პროცესებს“,** – ნათქვამია განცხადებაში.

სომხეთის უმაღლესი სასულიერო საბჭო განცხადებაში აღნიშნავს, რომ ეკლესიის საკითხები წყდება ეკლესიის კანონების შესაბამისად და არ შედის მთავრობისა და პოლიტიკური ფიგურების იურისდიქციაში.

**„მოვუწოდებთ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს, შეწყვიტონ პრემიერ-მინისტრის ეს უკანონო და მოკლევადიანი პოლიტიკა. არ არის საჭირო ეკლესიის ხელოვნურ დღის წესრიგში ჩართვა და მისი წაქეზება საპასუხო მოქმედებებისკენ. ამ ახალი გამოწვევის წინაშე, ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენი წმინდა ეკლესიის მორწმუნეებს, გაერთიანდნენ და არ დაუშვან ეროვნული საფუძვლების შერყევა. ნუ გახდება ეს მიუღებელი მაქინაციები იმედგაცრუებისა და ცდუნების მიზეზი“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი გელაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გელაშვილი (პ/ნ 47001011280), ახალციხე, ფარნავაზ მეფის ქუჩა N28, ბინა 2

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ახალციხე, ს. აწყური (თისელი) (საკადასტრო კოდი: 62.04.59.039)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 32677.21 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 3 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 17 ივნისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP109288425;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1092884

**6. მოვალე:** გიორგი გელაშვილი (პ/ნ 47001011280), ახალციხე, ფარნავაზ მეფის ქუჩა N28, ბინა 2;
შპს „ბუნება“ (ს/კ 424065399), ახალციხე, ასპინძის ქ. N11

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP109288425; ლოტის ნომერი: 1092884).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 17 ივნისის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვალიკო აბაშიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვალიკო აბაშიძე (პ/ნ 14001001226), დედოფლისწყარო, სოფ. ფიროსმანი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** დედოფლისწყაროს რაიონი, ადმინისტრაციული ერთეული სამთაწყარო, კვარტალი 35, ბლოკი 028, ნაკვეთი 006 (საკადასტრო კოდი: 52.12.35.028.006)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 34827.13 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 3 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 17 ივნისი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP109289325;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1092893

**6. მოვალე:** ვალიკო აბაშიძე (პ/ნ 14001001226), დედოფლისწყარო, სოფ. ფიროსმანი;
ჟუჟუნა ფუტკარაძე (14001023419), დედოფლისწყარო, სოფ. ფიროსმანი

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP109289325; ლოტის ნომერი: 1092893).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 17 ივნისის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ელიზა ჭოჭელის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელიზა ჭოჭელი (პ/ნ 59001005982), გორი, სოფელი გუგუტიანთკარი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** გორი, სოფელი გუგუტიანთკარი (საკადასტრო კოდი: 66.51.03.099)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 8216.53 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 3 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 17 ივნისი, 14:45 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP109291625;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1092916

**6. მოვალე:** ელიზა ჭოჭელი (პ/ნ 59001005982), გორი, სოფელი გუგუტიანთკარი
ლევან გუგუტიშვილი (პ/ნ 59001034953), გორი, სოფელი გუგუტიანთკარი

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP109291625; ლოტის ნომერი: 1092916).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 17 ივნისის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზაირა ასანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზაირა ასანიძე (პ/ნ 38001018146), საჩხერე, სოფელი ჯალაურთა, მე-17 ქუჩა N16

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** საჩხერე, სოფელი ჯალაურთა, მე-17 ქუჩა N16 (საკადასტრო კოდი: 35.11.41.121)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 34313.87 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 3 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 17 ივნისი, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP109291025;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1092910

**6. მოვალე:** ზაირა ასანიძე 38001018146 - საჩხერე, სოფელი ჯალაურთა, მე-17 ქუჩა N16;
მანანა ასანიძე 38001018144 - საჩხერე, სოფელი ჯალაურთა, მე-17 ქუჩა N16;
ანდრო სადრაძე 33001073162 - ოზურგეთი, სოფელი ლიხაური, მე-7 ქუჩა N64;
დავითი სადრაძე 33001024681 - ოზურგეთი, სოფელი ლიხაური, მე-7 ქუჩა N64

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP109291025; ლოტის ნომერი: 1092910).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 17 ივნისის 12:00 საათამდე.

# წმინდა გიორგის მფარველობით



**პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის** განცხადებით, ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის, **ხვიჩა კვარაცხელიას** წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე წარადგენენ. ამასთან, როგორც პრემიერმა მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, უმთავრეს საკლუბო ტურნირებში მიღებული უმაღლესი ჯილდოების გამო, წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე წარადგენენ **კახა კალაძეს** და **ზაზა ფაჩულიას**.







ირაკლი კობახიძემ ხვიჩა კვარაცხელიას ჩემპიონთა ლიგის მოგება კიდევ ერთხელ მიულოცა.

„ეს არის უმაღლესი მწვერვალი ფეხბურთში და, რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენგანისთვის არის განსაკუთრებული სიამაყის საგანი. ჩვენი ქვეყნის გამარჯვება – ასე აღიქვა თითოეულმა გულშემატკივარმა მისი გამარჯვება და გარდა იმისა, რომ ვულოცავთ, მადლობაც უნდა გადავუხადოთ მას იმ გამარჯვებისთვის, რომელიც ჩვენს ქვეყანას მოუტანა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის მხოლოდ დასაწყისი იმ უმაღლესი მწვერვალებისა, რომელსაც ხვიჩა კვარაცხელია კიდევ ბევრჯერ დაიპყრობს. მინდა, მას სამომავლოდაც ძალიან დიდი წარმატებები ვუსურვო.

ჩვენ გვაქვს ტრადიცია, როდესაც მაღალ მწვერვალებს იპყრობენ ჩვენი სპორტსმენები, წარვადგენთ ხოლმე მათ უმაღლეს სახელმწიფო ჯილდოებზე და ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის მოგება არის ზუსტად ის წარმატება, რაც ასეთ დაფასებას იმსახურებს. მან, ნაკრებთან ერთად მიღწეული წარმატებისთვის, გასულ წელს, მიიღო ღირსების ორდენი და ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის გვინდა, წარვადგინოთ ხვიჩა კვარაცხელია წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე. ვფიქრობ, ეს არის ძალიან დამსახურებული ჯილდო, რომელსაც ის მიიღებს სახელმწიფოსგან. ამასთან დაკავშირებით გვქონდა კონსულტაციები საქართველოს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და ერთხმად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. საქართველოს პრეზიდენტი მას დააჯილდოებს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოთი - წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით.

ასევე, ჩვენ გვყავს ორი სპორტსმენი, რომელთაც პრესტიჟულ საკლუბო ტურნირებში აქვთ მიღებული უმაღლესი ჯილდო. ესენი არიან – კახა კალაძე, რომელსაც ორჯერ აქვს მოგებული ჩემპიონთა ლიგა და ზაზა ფაჩულია, რომელსაც სამჯერ აქვს მიღებული უმაღლესი საკალათბურთო საკლუბო ბეჭედი – NBA, ორჯერ, როგორც კალათბურთელს და ერთხელ – როგორც მენეჯერს. გადავამოწმეთ და მათ არ აქვთ მიღებული ანალოგიური ჯილდოები. ვფიქრობ, რომ დაგვიანებით, მაგრამ მათი ეს წარმატება უნდა დავაფასოთ. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ბატონი კახა კალაძე და ბატონი ზაზა ფაჩულიაც წარვადგინოთ წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე. მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს ერთად მიღებული ამ გადაწყვეტილებისთვის“, – განაცხადა **კობახიძემ**.



# საუკუნეს მოგეკეცოთ!

**დიდი ნოდარ ახალკაცი რომ გვერდით ამოიყენებდა კაცს, მის მიმართ ძალაუნებურად დადებითად განეწყობოდით, ხოლო როცა ქართული ფეხბურთის ბერმუხის არჩევანს პროფესიონალიზმი და ყველა ის პიროვნული ღირსება ასაზრდოებდა, მხოლოდ საქმის ერთგულება რომ ამკობდა, ყველა კითხვის ნიშანი იხსნებოდა.**

რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილის პოსტზე უხინჯოდ გატარებული წლები თავისთავად უკვე გახლდათ ბატონ **დავით კვინიკაძისათვის** ნდობის ვოტუმის გამოსაცხადებელი კოზირი, მაგრამ ხომ იცით ერთი ფუთი მარილის ამბავი, ასეთად კი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის დაბადებაში მის მიერ 1990 წლის 15 თებერვლის ისტორიული დამფუძნებელი ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეობითა და თბილისის ჭადრაკის სასახლეში უკიდურესი ვნებათაღელვის ფონზე განვითარებული სანიშანსვეტო მოვლენების სამაგალითოდ გაძღოლით შეტანილი სოლიდური წვლილი იქცა.

ჩვენი ურთიერთობა მოგვიანებით დაიწყო, როცა უკვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანთან სარედაქციო დავალებების შესასრულებლად გვიწევდა კომუნიკაცია და როგორც სამშობლოში, ისე – გამორჩეულად უცხოეთში მივლინებების დროს, ყველგან და ყოველთვის, მისგან ადამიანურ ყურადღებასა და პატივისცემას ვგრძნობდით. ასევე გრძელდება ამჟამადაც და მადლიერების ნიშნად რუდუნებით ვუფრთხილდებით დამსახურებულ უფროს მეგობართან მაინც დისტანცირებულ კავშირს. რას ვიზამთ, ასაკი თავისას შვრება.

ოღონდ, ეს ის შემთხვევაა, როცა საპასპორტო მონაცემებს განსაკუთრებულად უნდა მივაგოთ პატივი – დიახ, ბატონ დავით კვინიკაძეს უკვე 85 წლის იუბილეს ვულოცავთ და მისეული ცხოვრების ჯანსაღი წესის გათვალისწინებით, გვწამს საუკუნოვან თარიღსაც მოკეცავს.

**იდღეგრძელეთ, ვასილიჩ!**

**„სრ“ სპორტის რედაქცია**

## სადარბაზო ბარათი

დავით კვინიკაძე გახლავთ ხაშურისა და აშშ-ის კონექტიკუტის შტატის ქალაქ უოტფორდის საპატიო მოქალაქე. 1997-1998 წლებში დიდი პატივი ხვდა წილად და უეფას ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო მატჩების კომისრადაც ნიშნავდნენ. მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს 1978-1986 წლებში განათლების სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამმართველოს უფროსობის დროს თბილისში კალათბურთისა და ფეხბურთის პროფილის სპეციალიზებული სკოლების გახსნა.

თვითონ სიამაყით იხსენებს ამ საშვილიშვილო საქმეში მინისტრ ოთარ ქინქლაძისა და მოადგილეების – ნუგზარ ფოფხაძის, ზურაბ ლომიძისა და მამია დარჩიას თანადგომას, რამაც შესაძლებელი გახადა დედაქალაქის ცენტრში სომხური საშუალო სკოლის ნაცვლად განთქმული 58-ე საკალათბურთო სპეცსკოლის შექმნა.

# ძვირფასი ვერცხლი



**რამდენიმე დღის წინათ** ბულგარულ პლოვდივში გამართული აკადემიურ ნიჩბოსნობაში ევროპის 82-ე ჩემპიონატი მართლაც რომ საგაზაფხულო ნოტაზე დავხურეთ: აბსოლუტურ ასაკში ორადგილიანი გასაშლელი ნავით მსუბუქ წონაში 2 – ათასმეტრიან დისტანციაზე პირველი ქართული ვერცხლი **გიორგი კანთელაძემ** და **დავით ლაშქარეიშვილმა** მოიხვეჭეს (ეროვნული ნაკრების მწვრთნელი **ნიკოლოზ მიქაუტაძე**).

ფორუმში მონაწილე 32 ქვეყნის 500-ზე მეტმა წარმომადგენელმა მედლების 20 კომპლექტი გაითამაშა, რეგატა კი 2 ტიპის – მძიმე და მსუბუქი გასაშლელი ნავებით, ცალი და წყვილი ნიჩბების გამოყენებით ჩატარდა.

დავძენთ, რომ ტურნირი ახალი წესებით მოეწყო, რადგან პარიზის შარშანდელი ოლიმპიადის შემდეგ საერთაშორისო ფედერაციამ რეპეშაჟები გააუქმა, ხოლო გამარჯვებულები და პრიზიორები უშუალოდ ფინალური გაცურვებისას ვლინდება.

# ღირსეული ოსტატის ღირსეული შეგირდი




**დიდი სპორტული ტრადიციების მქონე აჭარის დედაქალაქმა ბათუმმა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ნორჩ მოჭადრაკეთა ფორუმს უმასპინძლა.**

ჩემპიონატი როგორც ვაჟთა, ასევე გოგონათა 6 ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდა.

სასიხარულოა, რომ 8 წლამდე გოგონათა შორის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ბესტაფონის N4 საჯარო სკოლის I კლასის მოსწავლემ **ნუკი ხუსკივაძემ**, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და 9 ქულით 9 შესაძლებლიდან უახლოეს მეტოქეს 2 ქულით აჯობა!

ნუკი ხუსკივაძე საჭადრაკო ხელოვნებას ბესტაფონის სიმონ საყვარელიძის სპორტულ სკოლაში ეუფლება მწვრთნელის **გიორგი ჭანტურიძის** ხელმძღვანელობით.

**ბექან ჩხეიძე**

# გაისად – საამიროებში



**მართალია, კალენდარზე უკვე ზაფხულია, მაგრამ ჯერაც არ გაგვნელებია ქართველ ჰოკეისტთაგან მოგვრილი სიხარული, რომლებმაც ამას წინათ ახალ ზელანდიაში დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2 დივიზიონის „ბ“ ჯგუფში ყველა შეხვედრის მოგებით პირველი ადგილი დაიკავეს და „ა“ ჯგუფში დაწინაურდნენ.**

ახლახან შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე მოწყობილი წილისყრით გაირკვა, რომ **გაისად 20-26 აპრილს ზედა ეშელონში აღსაზევებლად ჯვაროსნებთან ერთად არაბთა გაერთიანებულ საამიროებში შეიკრიბებიან მასპინძლები, ბელგია, ავსტრალია, ხორვატეთი და სერბეთი.**

## უნებლიედ გამოგვრჩა

**მკითხველის წინაშე ბოდიში უნდა მოვიხადოთ,** რადგან სტატიაში „ლიდერობენ ესპანელები“, რომელიც გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ (N74), უნებლიედ გამოგვრჩა მადრიდის რეალის ხორვატი ნახევარმცველი **ლუკა მოდრიჩი,** რომელმაც გაიმეორა ფრანსისკო ჰენტოს რეკორდი და ექვსჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა (2014, 2016, 2017, 2018, 2022, 2024).

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჰენტომ ეს შეძლო რვა ფინალურ შეხვედრაში, მოდრიჩს კი ასპროცენტიანი შედეგი აქვს – ექვსიდან ექვსივე ფინალური მატჩი მოიგო და ამის გამეორება ძალზე ძნელი იქნება.

**მერაბ კალანდაძე**

# ლიდერის სადარი

**40-მდე ქვეყნის 300-ზე მეტი, მათ შორის 5 ქართველი წარმომადგენელი შეიკრიბა ავსტრიულ ლინცში, სადაც 2 დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო ტურნირი ელვისებურ და სწრაფ ჭადრაკში.**

ბლიცში ყოველი პარტიისთვის თითოეულ მონაწილეს 3-3 წუთი ეძლეოდა ერთ სვლაზე 2-2 წამის დამატებით, სწრაფ ჭადრაკში კი 10-10 წუთი პლუს 5-5 წამი თითოეული სვლისთვის. აღსანიშნავია ქართველ ვაჟთა ნაკრების ლიდერის **ბაადურ ჯობავას** შესანიშნავი თამაში, რომელმაც რაპიდში ვერცხლი, ხოლო ბლიცში ბრინჯაო დაიმსახურა.



რამაზ და თემურ ხუროძეები ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან უსათნოესი, სიკეთითა და მშვენებით გამორჩეული, ჩვენი უსაყვარლესი ქალბატონის

## ლიანა კეჭაყმაძე-ნიშნიანიძის

გარდაცვალებას.

გამოსვენება დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიიდან 5 ივნისს, 15 საათზე.

დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.



მეუღლე იამზე შენგელია, შვილი თენგიზი (თენგო), შვილიშვილები გიორგი, ია, ქეთევან, ელენე ქობულიები, რძლები იზა ლოსაბერიძე, მარი ხვედელიძე, ძმა სპარტაკ ქობულია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი ტრადიციული ოჯახის წინამძღოლი, უსაყვარლესი მეუღლე, მამა და ბაბუა

## ანზორ მიხეილის ძე ქობულია

დაკრძალვა 5 მაისს, ხუთშაბათს, ქ. სამტრედიაში, გამოსვენება – ქეთევან წამებულის ქუჩა (ყოფილი კრილოვის) N8, 15 სთ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს გაზეთის მთავარ რედაქტორს, ბატონ სპარტაკ ქობულიას ძმის

## ანზორ მიხეილის ძე ქობულიას

გარდაცვალების გამო. უსამძიმრებს აგრეთვე განსვენებულის ოჯახს, სანათესაოს და სამეგობროს.

# ბათუმელი მეზღვაური ჩინეთში ტრაგიკულად დაიღუპა

**„აჭარა თაიმსის“ ინფორმაციით, შემთხვევა, დაახლოებით, ორი კვირის წინ მოხდა.**

ახლობლების თქმით, მეზღვაური სიმაღლიდან ვარდნის შედეგად გარდაიცვალა. სხვა გარემოებები ამ დროისთვის უცნობია.

**„აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში არ შემოსულა ოფიციალური განცხადება გემთმფლობელის და/ან მეზღვაურის ოჯახის წევრებისგან რაიმე სახის დახმარების გაწევის თაობაზე. ამასთან, ოჯახის წევრების თანხმობის გარეშე, სააგენტოს არ აქვს უფლება, გასცეს ინფორმაცია გარდაცვლილი მეზღვაურის შესახებ,“** – განაცხადეს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში.

**ცხედარი საქართველოში ჯერ არ ჩამოუსვენებიათ.**

# ანზორ გაბისიანის გამოსათხოვარი



ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 93 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და ღვაწლმოსილი ინჟინერი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანზორ გაბისიანი.

ანზორ გაბისიანმა 1950 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის მე-7 ვაჟთა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო მოსკოვის ფოლადისა და შენადნობების ინსტიტუტში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ინჟინერ-მეტალურგის კვალიფიკაციით იგი სამშობლოში დაბრუნდა და რუსთავის ახლადფეხადგმული მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში დაიწყო მუშაობა. 1959-1961 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლობდა, საკანდიდატო დისერტაციაც იქვე დაიცვა და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის რანგში მუშაობა დაიწყო ინსტიტუტის თხევადი ლითონებისა და წიდების ფიზიკურ-ქიმიური კვლევის ლაბორატორიაში, რომელსაც მოგვიანებით, 1974 წლიდან თავად ჩაუდგა სათავეში.

ბატონი ანზორი ხანგრძლივი მოღვაწეობის მთელ პერიოდში მრავალი საინტერესო გადაწყვეტილების ინიციატორი გახლდათ. მათგან ერთ-ერთმა უდიდესი რეზონანსი გამოიწვია მეტალურგიულ საზოგადოებაში, ეს გახლდათ თხევადი ფოლადის ღუმელგარეშე დამუშავება. 1983 წელს კოლეგებთან ერთად მან დაამუშავა ციცხვის შიბერული საკეტის ჩამოსასხმელი ღარიდან თხევადი ფოლადის ინერტული აირებით, წიდაწარმომქმნელი ნარევებითა და ფხვნილოვანი მასალებით შებერვის ე.წ. ინჟექციური მეთოდი.

საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის ბრძანებით ზემოაღნიშნული ტექნოლოგია დაინერგა მეტალურგიულ საწარმოებში მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტით. ძნელად თუ მოიძებნება მაგალითი, რომ საკავშირო მინისტრის ბრძანებით ყველა მეტალურგიულ ქარხანაში დანერგილიყოს მეტალურგიის ინსტიტუტის და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიერ შემუშავებული ეს ტექნოლოგია, რომელიც შემდეგ „რუსთავის მეთოდის“ სახელით გავრცელდა მსოფლიოში.

ამ სამუშაოს შედეგები გამოქვეყნდა შვედეთში და შეერთებულ შტატებში ჩატარებულ მეფოლადეთა საერთაშორისო კონგრესების შრომებში და საფუძვლად დაედო ბატონ ანზორის სადოქტორო დისერტაციას. 1987 წელს მეტალურგიაში „მოდის კანონმდებელმა“ დასავლეთ გერმანულმა ფირმამ „კრუპ პოლიზიუსმა“ შეიძინა ლიცენზია აღნიშნულ ტექნოლოგიურ მეთოდზე, ხოლო 1988 წელს ბატონ ანზორს კოლეგებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

აქვე მკითხველს შევახსენებთ, რომ მეტალურგიის ინსტიტუტი გამორჩეული მეცნიერული დაწესებულება გახლდათ მთელ საბჭოთა კავშირში, რისი ერთ-ერთი დადასტურებაა 1986 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გარდამავალი დროშით მისი დაჯილდოება. ცხადია, რომ ეს მიღწევები ინსტიტუტის თანამშრომელთა მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია, რაშიც ბატონ ანზორს ლომის წილი აქვს შეტანილი.

ანზორ გაბისიანი გახლდათ ეროვნული ენერგიით დამუხტული, რაინდული თვისებებით შემკული, უაღრესად აზრიანი სათნო პიროვნება და უღალატო მეგობარი. ინსტიტუტი ამ მოსაგონარით ემშვიდობება ბატონი ანზორის ნათელ სულს.

**ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლები**

# მწერალი მალხაზ ხარბედია 51 წლის ასაკში გარდაიცვალა

**„წარმოუდგენლად გვიმძიმს ამ სიტყვების დაწერა – გარდაიცვალა მალხაზ ხარბედია, ქართველი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე, „არილის“ რედაქტორი და მასულდგმულებელი“,** – წერს გამოცემა „არილი“.

ლიტერატურათმცოდნის, მწერლისა და ესეისტის მალხაზ ხარბედიას გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

**მალხაზ ხარბედია იყო ჟურნალების – „ცხელი შოკოლადის“ (2013 წლის აპრილიდან 2014 წლამდე) და „არილის“ მთავარი რედაქტორი; სხვადასხვა წელს მიღებული აქვს ლიტერატურული პრემია „საბა“; 2007 წელს პრემია გადაეცა ნომინაციაში – საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა კრებულისთვის „პირადი ბიბლიოთეკა“; 2015 წელს გაიმარჯვა ნომინაციაში საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა წიგნისთვის „ტექსტი და სიმართლე – კრიტიკა, ლიტერატურის პოლიტიკა, დაკვირვებები“; 2021 წელს პრემია გადაეცა ჟურნალ „არილს“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.**



**საქართველოს კულტურის სამინისტრო უსამძიმრებს მალხაზ ხარბედიას ოჯახის წევრებს, კოლეგებსა და მეგობრებს.**

# შემოტანილი სათესლე კარტოფილი განადგურებას დაექვემდებარა

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“, თურქეთის რესპუბლიკიდან შემოტანილი 48 ტონა სათესლე კარტოფილი იქნა შეჩერებული.**

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურების განხორციელების დროს გამოვლინდა საქართველოს ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შეუსაბამობა. კერძოდ, სათესლე კარტოფილის პარტიებს არ გააჩნდა ჯიშების იდენტიფიცირებისათვის საჭირო შესაბამისი ეტიკეტები, ტუბერებზე აღენიშნებოდა ობისა და ლპობის ნიშნები და ასევე, დასაშვებზე მეტი რაოდენობის ნიადაგი.

**საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N463 დადგენილების შესაბამისად, აღნიშნული საქონელი დაექვემდებარა განადგურებას.**

# ნარკოდანაშაულის ბრალდებით 5 პირი დააკავეს, მათ შორის 4 ნარკორეალიზატორია

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 5 პირი დააკავეს, მათ შორის 4 ნარკორეალიზატორია,** – ინფორმაციას შსს ავრცელებს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის ბრალდებით დაკავებული არიან: 1986 წელს დაბადებული გ.ს., 1980 წელს დაბადებული შ.კ., 1989 წელს დაბადებული ზ.ვ., 1968 წელს დაბადებული ზ.ტ. და 2000 წელს დაბადებული გ.მ. დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე არაერთი ფარული საგამოძიებო მოქმედება ჩაატარეს, რითაც დადგინდა, რომ ბრალდებული ნარკორეალიზატორები ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ყიდდნენ.

სსე
**აუქციონი**

**ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს აუქციონს**

**მის ბალანსზე რიცხული, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული მიწის ფართების, მათზე განთავსებულ კონსტრუქციებთან ერთად, იჯარის ფორმით (დროებით სასყიდლიან სარგებლობაში) გადაცემის მიზნით - 3 (სამი) ლოტად.**

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინტერნეტ გვერდზე: www.eauction.ge

**საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი**
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281, მობილური – 5 77 24 02 33




# ლეგენდარული იოსებ ჟორდანიას სახელობის სკვერი – თბილისში

**ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-7 კვარტალში მდებარე სკვერს გამოჩენილი ქართველი ექიმის, იოსებ ჟორდანიას სახელი მიენიჭა. სკვერის გახსნაზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, ზურაბ აზარაშვილმა მიმართა.**



მედიცინის მეცნიერებათა დოქტორისა და რეპროდუქციული მედიცინის ფუძემდებლის იოსებ ჟორდანიას სახელის მინიჭების ინიციატივით ქართულ-გერმანულმა რეპროდუქციულმა ცენტრმა მიმართა თბილისის საკრებულოს. წერილს ხელს აწერდნენ როგორც რეპროდუქციული ცენტრის, ისე ი. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლები, სულ 300-ზე მეტმა ექიმმა მოაწერა ხელი მიმართვას. თბილისის საკრებულომ 2025 წლის 28 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მე-7 კვარტალში, მდებარე უსახელო სკვერისთვის იოსებ ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ.

იოსებ ჟორდანია რეპროდუქციული მედიცინის პიონერი იყო საქართველოში. 1958 წელს მან დააარსა ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც დღეს მისი სახელი ჰქვია. 1962 წელს ბრაზილიიდან დაბრუნებისას იგი ტრაგიკულად დაიღუპა, როცა თვითმფრინავის კატასტროფისას ცდილობდა ბავშვის გადარჩენას. **ცერემონიის ფარგლებში, სიმბოლურად დაირგო ხე.**

# სიღნაღის მესამე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, სიღნაღის მესამე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გორჯომის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სახალხო თეატრის სპექტაკლ „უსახელო ვარსკვლავით" გაიხსნა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ერთმოქმედებიანი ლირიკული კომედია რეჟისორმა ლუკა ინწკირველმა დადგა. წარმოდგენა სიღნაღის მუნიციპალურ თეატრში გაიმართა.



წლევანდელი ფესტივალი უფრო მასშტაბურია და მასში მონაწილეობს რვა ქართული და ოთხი უცხოური თეატრი თურქეთიდან, რუმინეთიდან, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან და აზერბაიჯანიდან. გარდა საკონკურსოდ შერჩეული სპექტაკლებისა, ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება მეტყველების, მსახიობის ოსტატობის, სცენური მოძრაობის, მუსიკისა და სხვა მასტერკლასები. ფესტივალზე პირველად გაიმართება ფილმის „ეიმუნტას ნეკროშუსი – ჰორიზონტის გადაწევა" ჩვენება.

# ქართული სამზარეულო ცოცხალი კულტურაა

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და შვეიცარიული ავიაკომპანია Edelweiss Air-ის ერთობლივი მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, შვეიცარიული გამოცემა Blick საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს. სტატიაში მიმოხილულია საქართველოს ტურისტული პროდუქტები, ბუნება, კულინარია და ღვინო,** – ინფორმაციას საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.




**„რაც ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი იყო საქართველოში მოგზაურობის დროს, ეს ქართული კერძები და ღვინოა, ქართული სამზარეულო სიამოვნებაზე მეტია – ის ცოცხალი კულტურაა",** – წერს Blick.

სტატიაში აღწერილია საქართველოში ღვინის წარმოების 8-ათასწლოვანი ტრადიცია, ქვევრში ღვინის მომზადების წესებით. ავტორი შვეიცარიელ მკითხველს აცნობს მარანში მიღებულ შთაბეჭდილებებს, ასევე ქართულ ეროვნულ კერძებს.

# ბოლნისში – ღვინის ფესტივალი 2025

**ბოლნისში დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალი გაიმართა. ამ შინაარსის ღვინის ფესტივალი საქართველოში მესამედ ტარდება და ის ტრადიციულად სლოგანს – ბოლნისი – ოქროსფერი ღვინის ქალაქი ეხმიანება.**



ღვინის ფესტივალში საქართველოს სხვადასხვა კუთხის 60-მდე მეღვინეობა იყო წარმოდგენილი. მონაწილეებს შორის იყვნენ როგორც მსხვილი მწარმოებლები, ასევე მცირე და საშუალო მარნები, საოჯახო მეღვინეობები – ყველა, ვინც ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოს აწარმოებს.

ფესტივალის ფარგლებში, 17 მაისს, ქართულ-გერმანული ღვინის სახლში ჩატარდა ღვინის კონკურსი, რომლის გამარჯვებულების ვინაობაც, ფესტივალზე საზეიმო ვითარებაში გახდა ცნობილი. წელს ჟიურის წევრებმა 20 დაცული ადგილწარმოშობის დასახელების, 138 ღვინის ნიმუში ბრმა დეგუსტაციით შეაფასეს. ღვინის კონკურსში მონაწილე – 26 მეღვინეობას ბრინჯაო, ხოლო 14 მწარმოებელს, ვერცხლი გადაეცა. რაც შეეხება ოქროს – ოქროს შეფასება ფესტივალზე სულ 19-მა ღვინომ დაიმსახურა. გამარჯვებულებს შორის, 6 ოქროთი, 6 ვერცხლითა და 9 ბრინჯაოთი გაერთიანება ღვინო ბოლნისის წევრი ბოლნისური მარნები იყვნენ.

# „ზაფხულის ღამის ჯაზი" „არტოს ბაღში"




**3-დღიან ფესტივალში, რომელიც უკვე მეექვსე წელია ტარდება თბილისის ისტორიულ „არტოს ბაღში", ყოველ წელს მონაწილეობენ როგორც დამწყები, ასევე საქართველოსა და მსოფლიოში აღიარებული ქართველი მუსიკოსები. წელს მსმენელის წინაშე წარდგება 120-მდე მუსიკოსი,** – ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

„ფესტივალის მსვლელობისას გაიმართება მხატვართა ნამუშევრების, ხელნაკეთი აქსესუარების და რარიტეტული ნივთების გამოფენა-გაყიდვა. ფესტივალის ორგანიზატორია მუსიკოსთა კავშირი ZMG-ART, ფესტივალის მხარდამჭერია თბილისის მერია, საქართველოს კულტურის სამინისტრო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

**მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 103, არტოს ბაღი.**

# ქორეოგრაფიული ანსამბლების ფესტივალი „ხომლი 2025"

**ცაგერში ქორეოგრაფიული ანსამბლების მეორე რესპუბლიკური ფესტივალი „ხომლი 2025" გაიმართა.**

„მწვანე თეატრში", ცაგერის ესთეტიკური ცენტრის ორგანიზებით და ცაგერის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 24 ანსამბლის 800-მდე მოცეკვავემ მოიყარა თავი, მათ შორის გახლდათ ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეჩხუმი".




ღონისძიებას უძღვებოდა ანსამბლ „ლეჩხუმის" ქორეოგრაფი, ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი **ბესარიონ ჩანქსელიანი.**

რესპუბლიკურ ფესტივალს ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები – **ქრისტინა კობახიძე, ალუდა თუთისანი,** ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **რევაზ ახვლედიანი,** საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოზებეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 6 ივნისს**